სპეციალური
საგამოძიებო
სამსახური

საქმიანობის ანგარიში
2024

ცხელი ხაზი: 199

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

საქმიანობის ანგარიში

2024

WWW.SIS.GOV.GE

სარჩევი

1. წინასიტყვაობა 2
2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი 4
3. სამსახურის სტრუქტურა 6
4. სამსახურის 2024 წლის საქმიანობა 7
4.1. ხელბორკილის გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა 9
4.2. სამხრე და ე.წ „ბორტის“ კამერების გამოყენების დანერგვა 10
4.3. პედოფილიის წინააღმდეგ ბრძოლა 11
4.3.1. სპეციალიზებული დეპარტამენტის შექმნა 11
4.3.2. ელექტრონული რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა 11
4.3.3. საინფორმაციო კამპანია პრევენციისთვის 13
4.4. მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს საქმიანობა 15
4.5. ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა 16
4.6. დანაშაულის პრევენციის საბჭოს მუშაობა 17
4.7. ეთიკის კოდექსის შემუშავება 19
4.8. წარმატებული სტუდენტებისთვის დასაქმების შესაძლებლობის მიცემა 19
4.9. სათავო ოფისის მშენებლობა 21
5. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა 22
6. თანამშრომლობა 24
6.1. საერთაშორისო თანამშრომლობა 25
6.2. საერთაშორისო ქსელების ყოველწლიურ შეხვედრებში მონაწილეობა 27
7. ფინანსური ანგარიშგება 30
8. ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება 32
9. გამოძიება 34
9.1. 2024 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი 35
9.2. არასათანადო მოპყრობა 39
9.2.1. მიღებული შეტყობინებები 39
9.2.2. გამოძიების დაწყება 42
9.2.3. სისხლისსამართლებრივი დევნა 46
9.2.4. გამოძიების შეწყვეტა 47
9.2.5. შედარებითი ანალიზი 48
9.3. სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები 50
9.3.1. მიღებული შეტყობინებები 50
9.3.2. გამოძიების დაწყება 51
9.3.3. სისხლისსამართლებრივი დევნა 54
9.4. პირადი ცხოვრების ხელყოფა, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, დისკრიმინაციული დანაშაულები 54
9.4.1. მიღებული შეტყობინებები 54
9.4.2. გამოძიების დაწყება 55
9.4.3. სისხლისსამართლებრივი დევნა 57
9.4.4. პედოფილიის გახსნილი საქმეები 57
9.5. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას 60
10. გამოწვევები შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ძალის გადამეტების შემთხვევების გამოძიებისას 62

10.1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიების სპეციფიკასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული გამოწვევები 64
10.2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიების სპეციფიკასთან დაკავშირებით 2023 წელს იდენტიფიცირებული გამოწვევები 65
10.3. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიების სპეციფიკასთან დაკავშირებით 2024 წელს იდენტიფიცირებული გამოწვევები 66
10.4. შეკრებებისა და მანიფესტაციების საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით 67

11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის, დარღვევის ფაქტების გამოძიება 72

12. გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები, გამოწვევები და რეკომენდაციები 73

12.1. შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებული გამოწვევები 73
12.2. გამოწვევები საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-დან შემოსულ შეტყობინებებზე 74
12.3. დაკავების სტანდარტები და ნეიტრალური მტკიცებულებები 75
12.4. სამეთვალყურეო და სამხრე კამერების ჩანაწერების დროულად გადმოცემის უზრუნველყოფა 77
12.5. ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები 78
12.6. პენიტენციურ დაწესებულებებში სამეთვალყურეო კამერების შენახვის ვადებთან დაკავშირებული გამოწვევები 79
12.7. გადაუდებელი აუცილებლობისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანის პრობლემა სამოქალაქო კლინიკაში 80
12.8. სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პატიმრების სამოქალაქო კლინიკებში დაგვიანებული რეფერალის გამოწვევები 83
12.9. სუიციდის პრევენციის პროგრამის გამოწვევები 84
12.10. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ვიდეომეთვალყურეობასთან დაკავშირებული გამოწვევები 85
12.11. პენიტენციურ დაწესებულებაში საკვების გაცემასთან დაკავშირებული გამოწვევები 87

13. დადებითი ტენდენციები 89

13.1. პენიტენციურ დაწესებულებებში სამხრე კამერების გამოყენების დანერგვა 89
13.2. გამოსახლებისას არსებული გამოწვევების აღმოფხვრა (აღსრულების პოლიცია) 89

14. სამსახურის 2025 წლის გეგმები 91

14.1. სპეციალიზებული სამმართველოს შექმნა 92
14.2. ხელახალი გამოძიების სახელმძღვანელოს დანერგვა 92
14.3. შშმ მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო დოკუმენტის დანერგვა 92
14.4. სათავო ოფისის მშენებლობის დასრულება, ინფრასტრუქტურის მოწყობისა და თანამშრომელთა განთავსების პროცესის დაწყება 92
14.5. რუსთავის ოფისის მშენებლობის დასრულება და ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს გახსნა 92
14.6. საკომუნიკაციო ქსელის განახლება, სერვერული ინფრასტრუქტურის გაძლიერება 93
14.7. ცნობიერების ამაღლება და მიზნობრივი შეხვედრები 93

წინასიტყვაობა

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საზოგადოებისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოა, რომლის მისია ეფექტიანი, დროული და დამოუკიდებელი გამოძიების წარმოებაა.

სამსახურის საგამოძიებო ფუნქციები, რომელიც სამოხელეო, პირადი ცხოვრების ხელმყოფი, დისკრიმინაციული ტიპისა და კონვენციის დარღვევით გამოწვეული დანაშაულების გამოძიებას მოიცავს, თავისი შინაარსით არის განსხვავებული. ამ ტიპის საქმეებზე მუშაობა სხვადასხვა საგამოძიებო მეთოდიკისა და მიდგომის გამოყენებას მოითხოვს. სწორედ გამოსაძიებელ დანაშაულთა განსხვავებული შინაარსი წარმოაჩენს უწყების სპეციალურ როლსა და მისიას, რომლის წარმატებით განხორციელებაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შექმნის დღიდან არაერთი სირთულე გამოიარა, რაც დაკავშირებული იყო სათანადო ინფრასტრუქტურის, რეგიონალური ოფისების, საკადრო და მატერიალური რესურსების არქონასთან. არასრულ 3 წელიწადში ჩვენი გუნდის დიდი ძალისხმევით, გატარებული ინსტიტუციური რეფორმების შედეგად, პროფესიონალებით დაკომპლექტებული მობილური საგამოძიებო დანაყოფი და აპარატი ჩამოყალიბდა, რომელიც მზად არის ყველა ძირითად გამოწვევასთან შესახვედრად. სამსახურს სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში ახალი რეგიონალური ოფისები შეემატა და გაიზარდა სამსახურის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, დასრულების პროცესშია ცენტრალური და ქვემო ქართლის ოფისების მშენებლობა. გაუმჯობესდა სამსახურის მატერიალური ბაზა, თანამშრომლების სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობა, სამსახური მოკლე დროში ყველა წამყვანი საერთაშორისო საგამოძიებო ქსელის წევრი გახდა და წევრ ქვეყნებთან ერთად ყოველწლიურად მონაწილეობს ერთობლივ ღონისძიებებსა და სასწავლო აქტივობებში.

სამსახურის ინსტიტუციური რეფორმის მთავარი მიღწევა ღია და გამჭვირვალე საგამოძიებო პროცესის დანერგვაა, რომელიც მოქალაქეს, განმცხადებელს, დაზარალებულსა და ადვოკატს გამოძიებაში მონაწილეობის, საქმის მასალების გაცნობისა და საქმეზე ამომწურავი ინფორმაციის ფლობის ეფექტურ საშუალებას აძლევს.

თუმცა, უწყებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლება, არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსი, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა დიდი მასშტაბისა და საგამოძიებო მოქმედებების სიმრავლით გამორჩეული საქმეების გამოძიების დროს.

ინსტიტუციური რეფორმების მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. ანგარიშში დეტალურად იქნება წარმოდგენილი და განხილული ხელბორკილების გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და სამხრე კამერების დანერგვა, პედოფილიასთან ბრძოლა, სპეციალიზებული დეპარტამენტის შექმნა, ელექტრონული რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა, ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის შემუშავება და სამსახურის განვითარებაზე ორიენტირებული სხვა განხორციელებული რეფორმები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებასა და პარლამენტს წარვუდგენთ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც აერთიანებს ინფორმაციას უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ინსტიტუციური და ორგანიზაციული რეფორმების, მიღწეული შედეგების, სტატისტიკური ინფორმაციის, სამსახურის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინებით, ანგარიში ასევე მოიცავს სამართალდამცავთა მიმართ კონკრეტულ რეკომენდაციებს. კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან/და სისხლის სამართლის საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის საფუძველზეც სამსახური გამოძიებას აწარმოებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ 2019 წლის 1-ელი ნოემბრიდან ჩადენილ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებზე:

- წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით;

- სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ან/და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ;

- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი სხვადასხვა სახის ძალადობრივი დანაშაულები, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან;

- ნებისმიერი პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (მაგ. საქართველოს სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხ.);

- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება გაძლიერდა და მის ქვემდებარეობას დაემატა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 369[1] (სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, თუკი ეს დანაშაულები სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოავლინა;

- სამსახური, ასევე, აწარმოებს გამოძიებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6[1] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა 6 წლის ვადით. აღნიშნულ თანამდებობას საქართველოს პარლამენტის მიერ არჩევის შემდეგ, 2022 წლის 1-ელი მარტიდან კარლო კაციტაძე იკავებს. სამსახურის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე გიორგი კვარაცხელია და მოადგილე ნათია სონღულაშვილი.

სამსახურის სტრუქტურა



სამსახურის 2024 წლის საქმიანობა

სამსახურის 2024 წლის შედეგები

- ხელბორკილის გამოყენების საერთაშორისო ინსტრუქციების დანერგვა
- დაკავებული პირების ვიდეომონიტორინგის და სამხრე კამერების დანერგვა
- სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი გახსნილი ძალადობრივი დანაშაულები
- საგამოძიებო სამსახურის მიერ გახსნილი პედოფილიის შემთხვევები
- პედოფილიისთვის მსჯავრდებულ პირთა რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნა
- პირადი ცხოვრების ხელყოფის საქმეთა გამოძიების დეპარტამენტის ჩამოყალიბება
- მხხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს გაძლიერება
- წარმატებული სტუდენტებისთვის დასაქმების შესაძლებლობის გაზრდა
- აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება
- ეთიკის კოდექსის შემუშავება
- სათავო ოფისის მიმდინარე მშენებლობა
- სამსახურის მიერ შექმნილი პრევენციის საბჭოს მიღწევები

4.1. ხელბორკილის გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ სავარაუდო მსხვერპლები პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ფაქტებზე პრეტენზიის დაფიქსირებისას, მათზე განხორციელებული ძალადობის ფორმად, მთელ რიგ შემთხვევებში, ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერის შემთხვევებზე მიუთითებდნენ. საკითხის რეგულირებისა და ამ მიმართულებით პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, სამსახურმა შეიმუშავა და დანერგა ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც საგამოძიებო დეპარტამენტებისა და ოპერატიული დანაყოფის თანამშრომლებს ეხმარება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მიიღონ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, მათ შორის, დაკავებული პირის სათანადო ქცევის, საკუთარი და საგამოძიებო მოქმედებებში ჩართული სხვა თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტი პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება და მზად არის სხვა საგამოძიებო დანაყოფებისთვის გასაზიარებლად.



4.2. სამხრე და ე.წ „ბორტის“ კამერების გამოყენების დანერგვა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები და ოპერატიული თანამშრომლები სამხრე კამერებით აღიჭურვნენ, ხოლო სამსახურის ავტომანქანებში ვიდეოგადაღების სისტემა დამონტაჟდა, რომელიც თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, გამჭვირვალე გამოძიების წარმოების საუკეთესო მოდელს წარმოადგენს.

ახალი სისტემა საგამოძიებო ორგანოს საშუალებას აძლევს, გამოძიების პროცესში მოიპოვოს ვიდეო მტკიცებულებები, დაამკვიდროს გამოძიების წარმოების თანამედროვე სტანდარტები, უწყვეტი ვიდეომონიტორინგის გზით უფრო მეტად დაცული გახადოს დაკავებული პირების უფლებები და ამ გზით უზრუნველყოს საგამოძიებო პროცესის მაღალი ხარისხით წარმართვა.

სამხრე კამერებისა და ვიდეორეგისტრატორის გამოყენების წესი წარმატებული საერთაშორისო საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლის შედეგად შემუშავდა და იგი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა. ამავე ბრძანების თანახმად, სამსახური მოქალაქისა და ადვოკატის მომართვის შემთხვევაში, ასევე საკუთარი ინიციატივით, პერიოდულად მოახდენს დაკავებული ბრალდებულების უფლებების დაცვაზე მონიტორინგს და შეამოწმებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ხარისხს.





4.3. პედოფილიის წინააღმდეგ ბრძოლა

პირადი ცხოვრების ხელყოფისა და პედოფილიის საქმეთა ეფექტიანი გამოძიება, ისევე როგორც, ამ მიმართულებით, პრევენციული ღონისძიებების დანერგვა სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება ჩაატარა.

საგამოძიებო პრაქტიკა აჩვენებს, რომ დანაშაული სხვადასხვა ფორმით შესაძლოა ნებისმიერ ბავშვს ან მოქალაქეს შეეხოს, რომელთაც აქვთ ინტერნეტთან წვდომა. ყალბ ანგარიშებს („ექაუნთებს“) ამოფარებული დამნაშავე პირები, მათ შორის პედოფილიის ნიშნების მქონე გამომძალველები, მოტყუების გზით ადვილად ახერხებენ ბავშვებთან დაახლოებას, მოიპოვებენ ნდობას, რის შემდეგაც მათი ინტიმური კადრების მოპოვებით ხელყოფენ ბავშვთა პირად ცხოვრებას, რასაც თან შესაძლოა ახლდეს მათ მიმართ სქესობრივი იძულება, გამოძალვა, პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟი ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებები.

2023-2024 წლებში, სამსახურმა ამ ტიპის დანაშაულების გამოსავლენად და დამნაშავე პირების დასაკავებლად დიდი ძალისხმევა გასწია. სამსახურის მიერ გახსნილია პედოფილიის, სექსუალური გამოძალვისა და არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელყოფის 42 შემთხვევა. დაკავებული და დანაშაულში მხილებულია 32 პირი. ასევე ხაზგასასმელია ბრალდების მხარის მკაცრი მიდგომა ამ ტიპის დანაშაულში მხილებული პირების მიმართ, გამოყენებულ იქნას მკაცრი საპროცესო იძულების ღონისძიება - დაკავება.

გარდა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისა, სამსახურმა პედოფილიის წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაგეგმა და ჩაატარა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ინტერნეტ სივრცეში პედოფილიის, სექსუალური გამოძალვისა და პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟის შემთხვევების თავიდან აცილებას.

4.3.1. სპეციალიზებული დეპარტამენტის შექმნა

სამსახურში შეიქმნა პირადი ცხოვრების ხელყოფის საქმეთა გამოძიების დეპარტამენტი, რომელიც პედოფილიის, სექსუალური გამოძალვისა და პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟის ფაქტებს იძიებს.

სტრუქტურული ცვლილებები საგამოძიებო რესურსის რაციონალურად გამოყენებასთან ერთად, ასევე უკავშირდება ბავშვებისა და მოზარდებისთვის ისეთ საშიშ გამოწვევას, როგორიც არის ინტერნეტ სივრცეში პედოფილიის, სექსუალური გამოძალვის, პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟის შემთხვევები. შესაბამისად, ახალმა სპეციალიზებულმა საგამოძიებო დანაყოფმა ერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბებით, უნდა უზრუნველყოს როგორც საქმეთა დროული და ეფექტიანი გამოძიება, ასევე ამ დანაშაულის პრევენცია და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, რომლის თაობაზეც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პარლამენტს 2024 წლის სექტემბერში მიმართა, პირადი ცხოვრების ხელყოფის საქმეთა გამოძიების დეპარტამენტში ასევე ჩამოყალიბდება პედოფილიასა და სექსუალურ გამოძალვაში მსჯავრდებულ პირთა მონიტორინგის სამმართველო. ახალი სამმართველო გააკონტროლებს ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირების ქცევასა და მათი მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების გატარებას უზრუნველყოფს.

4.3.2. ელექტრონული რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება შექმნას პედოფილიასა და სექსუალური გამოძალვისთვის მსჯავრდებულ პირთა რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც დარეგისტრირდებიან პედოფილიისა და სექსუალური გამოძალვისთვის

მსჯავრდებული პირები, რომელთაც შეეზღუდებათ უფლებები და დაექვემდებარებიან სპეციალურ მონიტორინგს.

ელექტრონულ რეესტრში შეყვანას, მონიტორინგსა და უფლებების ჩამორთმევას დაექვემდებარებიან ის მსჯავრდებულები, რომელთაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოავლენს მცირეწლოვანი ბავშვების, არასრულწლოვანი პირების მიმართ ჩადენილ სექსუალური გამოძალვასა და სქესობრივ დანაშაულებში, ასევე ის პირები, რომლებიც პირადი ცხოვრების კადრებს მოიპოვებენ და ავრცელებენ ანგარების მიზნით, ასევე ის მსჯავრდებულები, რომელთაც მსგავსი ტიპის რამდენიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი ან ამ დანაშაულს ჩადიან განმეორებით.

აღნიშნული დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ გამოყენებული იქნება სხვადასხვა შემზღუდველი ღონისძიებები, როგორიც არის არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან 30 მეტრის რადიუსში მიახლოების, მგზავრთა გადაყვანის უფლების ჩამორთმევა, საექიმო და პედაგოგიური საქმიანობის, სოციალურ მუშაკად მუშაობის აკრძალვა და ა.შ.

რაც შეეხება სახელმწიფო მონიტორინგს, იგი მოიცავს გარკვეული პერიოდულობით მსჯავრდებული პირის საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების ვალდებულებას, საცხოვრებელ და სამუშაო მისამართზე პირის შემოწმებას, მისგან ინფორმაციის მოთხოვნასა და სხვა პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით, სამსახური საქართველოს პარლამენტთან აქტიურად თანამშრომლობს.

სამსახურის უფროსმა კარლო კაციტაძემ, პედოფილიისა და სექსუალური გამოძალვისთვის მსჯავრდებული პირების ელექტრონული რეესტრისა და სახელმწიფო მონიტორინგის მექანიზმის შექმნის ინიციატივა სახალხო დამცველს, გენერალური პროკურატურის, სამინისტროების, აკადემიური წრის წარმომადგენლებს და მოსამართლეებს დეტალურად გააცნო. შეხვედრაზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა ვრცლად ისაუბრეს პედოფილიისა და სექსუალური გამოძალვისთვის მსჯავრდებულ პირთა რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის სპეციფიკაზე და აუდიტორიას ამ კუთხით არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გაუზიარეს.

სამსახურის უფროსმა კარლო კაციტაძემ, პედოფილიისა და სექსუალური გამოძალვისთვის მსჯავრდებული პირების ელექტრონული რეესტრისა და სახელმწიფო მონიტორინგის მექანიზმის შექმნის ინიციატივა საუნივერსიტეტო აკადემიურ წრეების წარმომადგენელ კრიმინოლოგებსაც გააცნო და მათგან მოისმინა მოსაზრებები, ამ მნიშვნელოვანი პრობლემის სამართლებრივი რეგულირებისას სამეცნიერო წრეების ჩართულობისა და პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომლობის საჭიროებაზე.

4.3.3. **საინფორმაციო კამპანია პრევენციისთვის**

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან მჭიდრო კოორდინაციით, 2024 წელს, ცნობიერების ამაღლების მიზნით, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის საკითხებზე, ზოგადი განათლების საფეხურის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, პედაგოგებთან და მანდატურებთან საინფორმაციო კამპანია აწარმოა.

კამპანიის დეტალები განხილულ იქნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის აქტიური ჩართულობით, რის შემდეგაც დაიწყო პროექტის აქტიური პრაქტიკული იმპლემენტაცია.

კამპანია 2023 წლის დეკემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა და მოიცვა როგორც თბილისში, ასევე, საქართველოს რეგიონებში მდებარე საჯარო სკოლები. კერძოდ, კამპანიის ფარგლებში დაფარულ იქნა თბილისის, რუსთავის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, გორის, ქარელის, კასპის, ჭიათურის, ტყიბულის, თერჯოლის, ქუთაისის, ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ოზურგეთის, ზუგდიდისა და სენაკის საჯარო სკოლები.

თითოეულ საჯარო სკოლაში შეხვედრები ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ნაწილს ესწრებოდნენ მე-8 კლასისა და შემდგომი საფეხურის მოსწავლეები, ხოლო მეორეს - მშობლები, მასწავლებლები და მანდატურები. კამპანიას ერთობლივად უძღვებოდნენ და შეხვედრებს

მართავდნენ სამსახურისა და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ კამპანიის მიმდინარეობისას, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელო, ისევე როგორც, უზრუნველყოფილი იქნა ტრენერთა ტრეინინგის ორგანიზება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომელთათვის, რის შემდეგაც, გარდა ერთობლივად დაგეგმილი შეხვედრებისა, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა უზრუნველყო შეხვედრების დამოუკიდებლად წარმართვა, რამაც კიდევ უფრო მეტი მასშტაბი შესძინა მიმდინარე პროექტს.

განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საერთო ჯამში შეხვედრები ჩატარდა 123 სკოლაში 2500 - მდე მოსწავლესთან და ამდენივე მშობელთან/მასწავლებელთან. ამათგან, საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა თბილისის - 43, შიდა და ქვემო ქართლის - 21, კახეთის - 15, იმერეთის - 17, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის - 18 და სამეგრელოს - 9 საჯარო სკოლა.

შეხვედრების ფარგლებში, დაიფარა ისეთი საკითხები, როგორსაც წარმოადგენს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის არსი, მისი პრაქტიკული მაგალითები, მომდინარე საფრთხეები, ფაქტის არსებობის შემთხვევაში რეაგირებისა და დაცვის მექანიზმები, ისევე როგორც, ამ მიმართულებით კამპანიაში ჩართული უწყებების მიერ გატარებული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები.

სამსახური, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან მჭიდრო კოორდინაციით, სამომავლოდაც გეგმავს კამპანიის გაგრძელებას მთელი საქართველოს მასშტაბით.





4.4. მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს საქმიანობა

სამსახურში ახალი სტრუქტურული ერთეული - მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველო წარმატებით მუშაობს, რომლის ძირითად ფუნქციას საგამოძიებო პროცესში მსხვერპლთა და დაზარალებულთა ჯეროვანი ჩართულობის, ინფორმირებისა და მინიჭებული უფლებებით პრაქტიკაში დაუბრკოლებლად სარგებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ასევე მათ უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- მსხვერპლის/დაზარალებულისათვის კონსულტაციის გაწევა და სხვა დაწესებულებასთან გადამისამართება, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა სცდება სამსახურის კომპეტენციას;
- დაზარალებულისთვის/მოწმისათვის უფლება-მოვალეობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება და მათთან ჯეროვანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- მსხვერპლთან შეხვედრა და მის მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობის ხელშეწყობა, მათ შორის, საქმის მასალების გაცნობის პროცესის დაგეგმვა/ორგანიზება;

- ბრალდებულის ან მისი ნათესავების, ასევე, პროცესის სხვა მონაწილის მხრიდან მოწმის ან/და დაზარალებულის/მსხვერპლის სიცოცხლისთვის/ჯანმრთელობისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის გამომძიებლისთვის მიწოდება და დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების საჭიროების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა/პროცესის ხელშეწყობა;

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის საქმის მასალების გაცნობის პროცესის ორგანიზება.

სამსახურში დამტკიცებულია არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც დაზარალებულის სტატუსის არმქონე ყველა პოტენციურ მსხვერპლს, სისხლის სამართლის საქმესთან წვდომისა და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს. აღნიშნულ პროცესში სამსახურის გამომძიებლებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს თანამშრომლები.

სამმართველოს თანამშრომლებმა 2024 წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღეს მსხვერპლთან მიმდინარე 62 გასაუბრების პროცესში, აღმოუჩინეს ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა, მაქსიმალურად მინიმუმამდე დაიყვანეს მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკი და შეუქმნეს არამატრავმირებელი გარემო, საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას. სამმართველოს თანამშრომლებმა უზრუნველყვეს მსხვერპლებისა და დაზარალებულებისათვის საქმის მასალების გაცნობა სისხლის სამართლის 90 საქმეზე.

2024 წელს, სამსახურმა საქმის მასალების გაცნობა შესთავაზა 531 განმცხადებელს, საიდანაც აღნიშნული უფლებით ისარგებლა 134 პირმა.

4.5. ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა

ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური აგრძელებს საგამოძიებო სტანდარტის განმსაზღვრელი სხვადასხვა სახის დოკუმენტის შექმნას.

- **პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების სახელმძღვანელოს შემუშავება და დანერგვა**

21-ე საუკუნეში, პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. სამსახურის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მზარდია ამ მიმართულებით მომართვიანობა. რიგ შემთხვევებში, დანაშაულის მსხვერპლებს არასრულწლოვანი პირები წარმოადგენენ. შესაბამისად, საკითხის მნიშვნელობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით, გამოძიების ერთიანი სტანდარტითა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე წარმართვისთვის შეიქმნა და დამტკიცდა სახელმძღვანელო დოკუმენტი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

- **ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების სტანდარტებისა და რეკომენდაციების შემუშავება**

დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული მექანიზმების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. ეფექტიანი გამოძიების წარმოება მნიშვნელოვანია, როგორც ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის, ასევე ოჯახში ძალადობის საქმეებზე. მგრძნობიარე და მსხვერპლზე ორიენტირებული გამოძიება ხელს უწყობს დამნაშავეებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, უზრუნველყოფს მსხვერპლისათვის საჭირო დახმარებასა და ძალადობის განმეორების აღკვეთას. ეფექტიანი საგამოძიებო პროცესი სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის ჩამოყალიბების წინაპირობაა, რაც წარმოადგენს მსხვერპლთათვის დამატებით მოტივაციას, მიმართონ საგამოძიებო ორგანოებს. მას ასევე აქვს შემაკავებელი ეფექტი პოტენციური დამნაშავეებისთვის. დროული და საფუძვლიანი გამოძიება არსებითია ძალადობის ციკლის დასარღვევად და სამართლიანობის განცდის დასამკვიდრებლად.

კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის გათვალისწინებით, სამსახურისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სწორედ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა მიეკუთვნება. ამ კუთხით ერთგვაროვანი მიდგომების დამკვიდრების, გამოძიების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისა და მსხვერპლზე ორიენტირებული სერვისების განვითარების მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ.

- **სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცება**

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სიძულვილის მოტივის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება, გამოძიება და სათანადო აღრიცხვა ეფექტიანი გამოძიების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხები არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებითა და ხელშეკრულებითაა დარეგულირებული, მათ შორისაა: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, „ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ (სტამბოლის კონვენცია), „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია, „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ კონვენცია. შესაბამისად ერთიანი სტანდარტის ჩამოსაყალიბებლად საჭირო გახდა სპეციალური სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა, რომელიც მორგებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატთან, შესაბამისად, ევროპის საბჭოს პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი, სწრაფი და ყოვლისმომცველი გამოძიების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავდა და დამტკიცდა, რაც სამსახურის საქმიანობის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოიყვანეს სამსახურის გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

4.6. დანაშაულის პრევენციის საბჭოს მუშაობა

ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭოს მისიაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ერთიანი პოლიტიკითა და ნაყოფიერი თანამშრომლობის გზით განხორციელდეს. ამ მიზნით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივით, საქართველოს პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის 2023 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის საბჭო შეიქმნა.

2024 წლის 2 ოქტომბერს, ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭოს მორიგი სხდომა იქნა მოწვეული, სადაც განხილულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პენიტენციური სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

პირველი რეკომენდაცია, რომელიც საბჭოზე სამსახურის მიერ გაიცა უკავშირდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციის მიზანია გადაუდებელი აუცილებლობის დროს მოხდეს პაციენტის გადაყვანა უახლოეს სამოქალაქო კლინიკაში, რაც მკვეთრად შეამცირებს პაციენტის სიცოცხლის მოსპობის ან ამგვარი საფრთხის შექმნის რისკებს. შესაბამისად, მინისტრის ბრძანებით, სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს, რომ პატიმრის გადაუდებელი მკურნალობის საჭიროებისას, პრიორიტეტულად მოძიებული უნდა იქნეს უახლოესი სამოქალაქო კლინიკები, რომლებსაც აქვს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევის რესურსი, რათა პაციენტს დროულად გაუწიონ სათანადო მკურნალობა. ამასთან პრაქტიკაში ქმედითად უნდა გამოიყენებოდეს მინისტრის ბრძანების N149-ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადისა და ესკორტირების ჯგუფის დალოდებამ შესაძლოა გამოიწვიოს მძიმე შედეგი, პენიტენციური დაწესებულების ექიმის რეკომენდაციით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა უნდა უზრუნველყოს დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლებისგან საბადრაგო ჯგუფის შექმნა და პატიმრის დროულად გადაყვანა უახლოეს სამედიცინო კლინიკაში.

აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, ასევე გაიცა რეკომენდაცია პენიტენციურ დაწესებულებებში მუდმივად მობილიზებული იყოს შესაბამისი საკადრო რესურსი, შიდა საბადრაგო ჯგუფის დასაკომპლექტებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გაცემული რეკომენდაცია მეტწილად შეასრულა და დაიწყო აქტიური მუშაობა ბრალდებულის/მსჯავრდებულის ესკორტირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებზე, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც უმთავრესს პრიორიტეტს. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფს გაცემული რეკომენდაციის პრაქტიკაში იმპლემენტაციას.

საბჭოზე ასევე გაიცა რეკომენდაცია სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის საქმიანობაში სამხრე კამერების გამოყენების თაობაზე

რეკომენდაციის მიზანია აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან გამოსახლების პროცესის მიმდინარეობისას, ღონისძიებაში ჩართული თანამშრომლების სამხრე კამერების საშუალებით მოხდეს პროცესის აუდიო-ვიდეო ფიქსაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ დაიწყო გაცემული რეკომენდაციის შესრულება და საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის წევრების[1] მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია „აღსრულების კოდექსი“ და მისი თანმდევი პროექტები, რომელიც მიღებულია პირველი მოსმენით, რომელიც ითვალისწინებს აღსრულების პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელზე ავტომატური ვიდეოტექნიკის დამაგრებისა და სხვის მფლობელობაში არსებული დამონტაჟებული ვიდეოტექნიკის მფლობელის თანხმობით გამოყენების შესაძლებლობას.

საბჭოზე განხილულ იქნა პედოფილიაში მხილებულ პირთა მონიტორინგის მექანიზმის ამუშავების შემდეგ, მონაცემების გაცვლისა და ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების საკითხი.

ამისთვის, მნიშვნელოვანია არსებობდეს საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობის პლატფორმა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ამ მიზნით, სამსახურმა საკანონმდებლო

1 მიხეილ სარჯველაძე, ისკო დასენი, ბექა ლილუაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ანა ბუჩუკური, დავით სონღულაშვილი, მიხეილ დაუშვილი, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ელისო ბოლქვაძე, ნინო წილოსანი და თეა წულუკიანი;

ინიციატივით უკვე მიმართა საქართველოს პარლამენტს, შესაბამისი სამართლებრივ რეგულაციებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს წინა სხდომებზე გაცემული რეკომენდაციების ნაწილი საანგარიშო პერიოდში შესრულდა როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე იუსტიციის სამინისტროს მიერ.



4.7. ეთიკის კოდექსის შემუშავება

ევროკავშირის პროექტის „უსაფრთხოების სექტორის გარე ზედამხედველობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, კვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, განახლდა სამსახურის ეთიკის კოდექსი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და ხელს უწყობს სამსახურში დასაქმებულ პირთა კანონმდებლობით განმტკიცებული პრინციპების შესაბამის საქმიანობას.

4.8. წარმატებული სტუდენტებისთვის დასაქმების შესაძლებლობის მიცემა

სამსახურისთვის მნიშვნელოვან მიმართულებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული და მოტივირებული სტუდენტებისთვის სტაჟირების გავლის შესაძლებლობის მიცემა წამოადგენს.

ამ მიზნით სამსახური ყოველ წელს სტაჟირების კონკურსს ატარებს, რომლის მიზანი ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა.

2024 წელს, გამოცხადებულ სტაჟიორთა მისაღებ კონკურსში განაცხადი სულ 153-მა კანდიდატმა წარადგინა. 4 ეტაპიანი კონკურსის გავლის შედეგად კი, რომელიც სამართალსა და ზოგად უნარებში გამოცდებს, ასევე გასაუბრებას მოიცავდა, კომისიის მიერ 4 საუკეთესო კანდიდატი შეირჩა.

გამარჯვებული კანდიდატები სპეციალური მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ, დაინიშნენ სტაჟიორ-გამომძიებლის პოზიციებზე და 1 წლიან ანაზღაურებად სტაჟირებას სამსახურის საგამოძიებო დანაყოფებში გადიან.

საგულისხმოა, რომ გასული წლის სიახლეს წარმოადგენს სტაჟიორთა და პრაქტიკანტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადება სამსახურის ფარგლებში არსებული ისეთი მიმართულებითაც, როგორსაც გამოძიების ხარისხი, ანალიტიკა და მსხვერპლთა უფლებების დაცვა წარმოადგენს. ამ მიზნით გამოცხადებულ სტაჟიორთა მისაღებ კონკურსში განაცხადი 300-მდე კანდიდატმა წარადგინა. კონკურსის გავლის შედეგად 2 სტაჟიორი და 1 პრაქტიკანტი შეირჩა, რომლებიც ანაზღაურებად სტაჟირებასა და პრაქტიკას მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოსა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკურ დეპარტამენტში გადიან.

4.9. სათავო ოფისის მშენებლობა

სათავო ოფისის სამშენებლო სამუშაოები 2023 წლის 15 დეკემბერს დაიწყო. სამსახურის ახალი სათავო ოფისი, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.-ზე, 4 440 $მ^2$ მიწის ფართობზე შენდება და იგი სამსახურის ფუნქციებსა და საქმიანობის სპეციფიკაზე სრულად იქნება მორგებული. აღიჭურვება უსაფრთხოებისთვის აუცილებელი თანამედროვე ტექნიკით და სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებზე. მოეწყობა არასრულწლოვანთა გამოკითხვის სივრცეები, ამოცნობისა და დროებითი დაკავების ოთახები, ნივთიერ მტკიცებულებათა საცავი, სასერვერო, საარქივო, სათავსო ოთახები და ოპერატიული დანიშნულების ავტომობილების პარკირების სივრცე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, 2022 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა და იგი ფუნქციონირებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისგან გადმოცემულ იჯარით აღებულ შენობაში შეუდგა, რომელიც შენობის მდგომარეობისა და კონფიგურაციის გათვალისწინებით, ვერ პასუხობს საგამოძიებო ორგანოს სათანადო ფუნქციონირებისთვის აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს.

შესაბამისად, სამსახურმა შექმნისთანავე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული გაძლიერება დაისახა მიზნად, რომელიც სათავო ოფისის მშენებლობის გარდა სამსახურისთვის რეგიონალური ოფისების დამატებასაც მოიცავს.



საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

შექმნის დღიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის ანგარიშვალდებულება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საგამოძიებო ორგანოები, მათი სამართლებრივი სტატუსიდან და საგამოძიებო მოქმედებების სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოების თვალში ხშირად დახურულ უწყებებად აღიქმებიან. შესაბამისად, საგამოძიებო პროცესის უფრო მეტად ღიაობისა და გამჭვირვალობისათვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალები პროაქტიულ რეჟიმში ყველა მედიასაშუალებას ეგზავნება, ასევე, ტრადიციული მედიასაშუალებების გარდა, სამსახურის ოფიციალური გვერდების - „Facebook“, „twitter“, „Youtube“-ის საშუალებით ქვეყნდება.

2024 წელს, სამსახურის მიერ ჯამში 77 პრესრელიზი გავრცელდა. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ გავრცელდა 58 ოფიციალური განცხადება, ჩატარდა 1 ბრიფინგი, გაიმართა 20-მდე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა. ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსდა როგორც საინფორმაციო სააგენტოებზე, ასევე, გაშუქდა სატელევიზიო არხების მიერ.

სამსახურის სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სამსახურის იმიჯისა და ცნობადობის ამაღლების, საქმიანობის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის, ინტერნეტკომუნიკაციის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად განხორციელდა არსებული ოფიციალური ვებ-გვერდის რეკონსტრუქცია.

განახლებული ვებ-გვერდი სრულად აკმაყოფილებს SEO (Search Engine Optimization) სტანდარტებს და თანამედროვე მიდგომების შესაბამისი ამოცანების შესრულებას სრულფასოვნად უზრუნველყოფს. ადაპტირდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლებზე - უსინათლო და მცირემხედველ პირებზე. მარტივად არის შესაძლებელი საძიებო სისტემაში ინფორმაციის მოძიება, ასევე ვებ-გვერდის გამოყენება შესაძლებელია სმარტფონებიდანაც და სხვა.

სამსახურმა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის საკითხებზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო კამპანია აწარმოა.



უკანასკნელ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაზრდილი სტატისტიკის გათვალისწინებით, რომელიც ინტერნეტში მუქარისა და იძულების გამოყენებით ინტიმური ხასიათის ფოტოების/ვიდეოების გაგზავნის მოთხოვნას ეხებოდა, სამსახურმა ახალი ინიციატივა შეიმუშავა, რომელიც პედოფილიასა და სექსუალური გამოძალვისთვის მსჯავრდებულ პირთა რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნას ისახავდა მიზნად. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, სამსახურმა საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ოფიციალურ ვებ-გვერდზე ახალი მოდული „სექსუალური გამოძალვა“ (https://sis.gov.ge/Sextortion) შექმნა, რომელშიც, სექსუალური გამოძალვის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, ამომწურავი ინფორმაცია განთავსდა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია, ასევე, გამოქვეყნდა სამსახურის ოფიციალურ „Facebook“ გვერდზეც (https://www.facebook.com/sis.gov.ge). ინფორმაცია გავრცელდა საინფორმაციო სააგენტოებისა და ტელევიზიის საშუალებით.



ასევე, საზოგადოების ყველა სეგმენტის ინფორმირების მიზნით, აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურმა შექმნა 4 გრაფიკული ვიდეო რგოლი, რომელშიც სამსახურის წარმომადგენლები დანაშაულის შესახებ და პრევენციის კონკრეტულ რეკომენდაციებზე საუბრობენ. აღნიშნული ვიდეო რგოლები განთავსდა სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და „Facebook“ გვერდზე. ანალიტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ვინაიდან ამ ტიპის დანაშაულების მსხვერპლები, უმრავლეს შემთხვევაში არასრულწლოვნები არიან, რომლებთაც წვდომა აქვთ ინტერნეტთან/გაჯეტებთან და ინფორმაციას სხვადასხვა ინტერნეტ პლატფორმების საშუალებით იღებენ, სამსახურმა აღნიშნული ვიდეო რგოლები ოფიციალურ „Tik-Tok“ გვერდზეც განათავსა - (https://vt.tiktok.com/ZSjUf1xxN/).

თანამშრომლობა

6.1. საერთაშორისო თანამშრომლობა

გამოცდილების გაზიარების, ერთობლივ გამოწვევებზე მსჯელობისა და წარმატებული პრაქტიკის გაცნობის, მათ შორის, ერთობლივი სწავლების წახალისების მიზნით, სხვა ქვეყნის კოლეგა უწყებებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების თანამშრომლობა სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით, 2024 წლის განმავლობაში, სამსახურის თანამშრომლები **დიდ ბრიტანეთში, მაკედონიაში, გერმანიაში, ესპანეთსა და სომხეთში** იმყოფებოდნენ.

2024 წლის მარტი- სომხეთი - ერევანი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დელეგაცია უფროსის, კარლო კაციტაძის ხელმძღვანელობით სომხეთს ეწვია. ვიზიტი განხორციელდა სომხეთის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარის, არგიშტი კაირამიანის ოფიციალური მოწვევის ფარგლებში.

2024 წლის 5 მარტს, საგამოძიებო კომიტეტში ჩატარდა ორი საგამოძიებო უწყების ხელმძღვანელის შეხვედრა. შეხვედრის შედეგად, არგიშტი კიარამიანმა და კარლო კაციტაძემ ხელი მოაწერეს სომხეთის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტსა და საქართველოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.





2024 წლის მაისი - დიდი ბრიტანეთი

2024 წლის მაისში, სამსახური **სამუშაო ვიზიტით ინგლისში იმყოფებოდა, სადაც სამსახურის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პარტნიორ უწყებებთან: დანაშაულის ეროვნული სააგენტოს (NCA), ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიციის (MET) და საპოლიციო კოლეჯის** ხელმძღვანელ და რიგითი თანამდებობის პირებთან.

შეხვედრის დროს, მხარეებმა საუკეთესო საგამოძიებო გამოცდილებებზე ისაუბრეს. ვიზიტის ფარგლებში, სამსახურის **გამომძიებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი** პოლიციის პროფესიული

სტანდარტების, უნარებისა და შესაძლებლობების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ასევე ჩატარდა საგამოძიებო ტექნიკებისა და კრიმინალური ექსპერტიზის პრაქტიკული წვრთნები.

2024 წლის ნოემბერი - „CPT“ მე-7 ვიზიტი საქართველოში

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი კარლო კაციტაძე, სამსახურის უფროსის მოადგილესთან, ნათია სონღულაშვილთან ერთად, „ევროპის საბჭოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის“ (CPT) ვიცეპრეზიდენტს, ტერეზა რუტერს და წევრებს: ალექანდრე მინჩევს, ნიკოლა კოვაშევიჩსა და რაზვან ჰორაციუ რადუს შეხვდა.

კარლო კაციტაძემ, კომიტეტის რიგით მე-7 პერიოდული ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, კომიტეტის წევრებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატზე, საგამოძიებო ქვემდებარეობაზე, გადადგმულ ნაბიჯებსა და უწყების გაძლიერების კუთხით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისაუბრა.

6.2. საერთაშორისო ქსელების ყოველწლიურ შეხვედრებში მონაწილეობა

2024 წლის სექტემბერი - „ICIN“ყოველწლიური შეხვედრა მადრიდში - ესპანეთი

2024 წლის სექტემბერში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, კარლო კაციტაძემ, პირველ მოადგილე, გიორგი კვარაცხელიასთან და გენერალური ინსპექციის უფროს, გიორგი ნოზაძესთან ერთად, ქალაქ მადრიდში, „სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების საერთაშორისო ქსელის“ (ICIN) რიგით მესამე ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაში მიიღო მონაწილეობა.

„სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების საერთაშორისო ქსელის“ (ICIN) საქმიანობის მიზანს საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოვლენის, პრევენციისა და ეფექტიანი გამოძიების თაობაზე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება წარმოადგენს.

შეხვედრაზე, საერთაშორისო ქსელის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა ოპერატიული ინფორმაციის გაზიარების, საგამოძიებო მიმართულებით ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და თანამედროვე ტენდენციების თაობაზე იმსჯელეს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური „სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების საერთაშორისო ქსელის“ (ICIN) წევრი 2023 წელს, წევრობის ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემდეგ გახდა.

ყოველწლიურ შეხვედრას, ქართული მხარის გარდა, შვედეთის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, ნიდერლანდების დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს, დიდი ბრიტანეთის მეტროპოლიტენის პოლიციის, დანაშაულის ეროვნული სააგენტოს, საფრანგეთის ეროვნული ჟანდარმერიის გენერალური ინსპექციის, ესპანეთის ნაციონალური პოლიციის, ასევე უნგრეთის, გერმანიისა და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

THE 3RD ANNUAL GENERAL MEETING OF THE
INTERNAL CRIMINAL INVESTIGATIONS NETWORK- MADRID 2024

ICIN
Internal Criminal Investigations Network

2024 წლის ნოემბერი - „IPCAN“ ყოველწლიური შეხვედრა პარიზში - საფრანგეთი

2024 წლის ნოემბერში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ნათია სონღულაშვილმა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, შოთა კაკულიამ პარიზში, „დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ქსელის“ (IPCAN) რიგით მე-9 ყოველწლიურ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, რომელსაც საფრანგეთის ადამიანის უფლებების დამცველი მასპინძლობდა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, „პოლიციის მიმართ საჩივრების განმხილველ დამოუკიდებელ ორგანოთა ქსელის“ (Independent Police Complaints Authorities' Network) წევრი ოფიციალურად 2023 წელს გახდა. საერთაშორისო ქსელი ინგლისის და უელსის, საფრანგეთის, ბელგიის, ირლანდიის, დანიის, ნორვეგიის, ესპანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დამოუკიდებელ საგამოძიებო სამსახურებსა და ომბუდსმენის ინსტიტუტებს აერთიანებს. სამუშაო შეხვედრა სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან და საჯარო დემონსტრაციებისა და ფართომასშტაბიანი სპორტული ღონისძიებების ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მართვის საკითხების განხილვას მიეძღვნა.

ნათია სონღულაშვილმა და შოთა კაკულიამ შეხვედრაზე გამოსვლისას ისაუბრეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში გაწერილ რეგულაციებზე, სამსახურის მიერ დამტკიცებულ 2023-2028 წლების სტრატეგიაზე, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან კომუნიკაციის სტანდარტების სრულყოფასა და მათთვის მისაწვდომობის გაუმჯობესებას ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციულ რესურსებსა და სერვისებზე. ასევე, სამსახურის მიზნებზე, რომ სისტემატურად იზრუნოს შშმ პირების ეფექტიანი მონაწილეობის გაუმჯობესებაზე მართლმსაჯულების პროცესში და შშმ პირებისა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და ახალი გეგმების შემუშავების განგძობადი პროცესის დანერგვაზე.

მიმდინარე წელს, შეხვედრაზე მიღებულ იქნა **პარიზის დეკლარაცია,** რომელიც სამართალდამცავი პირების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ფიზიკური ძალადობის, შევიწროებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და პრევენციის საკითხებს ეხება და სარეკომენდაციო ხასიათისაა ქსელის წევრი ქვეყნებისათვის.

2024 წლის ნოემბერი - „EPAC“ ყოველწლიური შეხვედრა ბუქარესტი - რუმინეთი

2024 წლის ნოემბერში, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ბუქარესტში „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელის“ (The European Partners against Corruption/EPAC) 23-ე ყოველწლიურ პროფესიულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. ქსელს სპეციალური საგამოძიებო სამსახური 2023 წელს შეუერთდა.

შეხვედრაზე ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული საპოლიციო ზედამხედველობის უწყებებისა და ანტიკორუფციული სააგენტოების წარმომადგენლების მიერ მიღებულ იქნა **ბუქარესტის დეკლარაცია**, რომელსაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც შეუერთდა. დოკუმენტი მიზნად ისახავს ხელმომწერ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს შორის პოლიციის ზედამხედველობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერებას.

ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაფინანსება საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 18 000 000 ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 15 444 903.35 ლარი. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა თბილისში ახალი ადმინისტრაციული (სათავო) შენობისა და ქვემო ქართლის რეგიონში დამატებითი ადმინისტრაციული (რეგიონული) შენობის სამშენებლო სამუშაოები. შენობების მშენებლობა დასრულდება 2025 წელს. ამასთან, შემუშავდა ქ. გორში ასაშენებელი ადმინისტრაციული (რეგიონული) შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელზეც სამსახურს უკვე მოპოვებული აქვს მშენებლობის ნებართვა. გარდა ზემოაღნიშნულისა, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამსახურის საშტატო რიცხოვნობა შენარჩუნებულია 150 ერთეულამდე. ამასთან, სამსახურის დაფინანსება, 2024 წელთან შედარებით, იზრდება 1 მილიონი ლარით და შეადგენს 19 მილიონ ლარს. დაფინანსების ზრდა, მათ შორის, გამოწვეულია ქ. თბილისში, ქ. რუსთავსა და ქ. გორში ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებისა და სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება/გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით. დამატებით ხაზგასასმელია, რომ 2025 წლის ბიუჯეტში კვლავ არის გათვალისწინებული 0.8 მილიონ ლარამდე რესურსი ქ. თბილისში არსებული ორი ადმინისტრაციული შენობის იჯარის ხელშეკრულებისათვის.

ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება

სამსახურისთვის მომართვის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან საშუალებას კვლავ უწყების ფარგლებში მოქმედი ცხელი ხაზი წარმოადგენს. შესაბამისად, სწრაფი და ეფექტიანი მოქმედებებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სერვისი უხარვეზოდ ფუნქციონირებდეს.

ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლების ფარგლებში, 2024 წელს, ამოქმედდა ცხელი ხაზის ახალი პროგრამა, რომელიც უფრო მეტად მორგებულია სამსახურის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ახალი პროგრამის ამოქმედების ფარგლებში, შესაძლებელი გახდა ცხელი ხაზის ოპერატორის მიერ, სხვადასხვა ინტეგრირებული მოქმედების ერთი პროგრამის ფარგლებში განხორციელება. პროგრამულად განახლდა ცხელ ხაზზე შესული შეტყობინებების შესახებ სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემის დამუშავების ტექნოლოგია, შესაძლებელი გახდა მომხმარებლისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა, შეიქმნა შეტყობინების კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმი.

გამოძიება

9.1. 2024 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი

2024 წლის
საქმიანობის შედეგები

2 936 შეტყობინებაზე მოხდა სამართლებრივი რეაგირება

471 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება



2024 წელს, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო **471** სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული **471** საქმიდან, იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები **(არასათანადო მოპყრობა),** გამოძიება დაიწყო **183** საქმეზე. იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი **(სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი),** გამოძიება დაიწყო **83** საქმეზე. იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი **(პირადი ცხოვრების ხელყოფა, ჟურნალისტის უფლებების დარღვევა და სხვა),** გამოძიება დაიწყო **198** საქმეზე, ხოლო იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი **(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტი),** გამოძიება დაიწყო (გამოძიება განახლდა) **7** საქმეზე.

2024 წელს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 105 პირის მიმართ.

დევნის საერთო მაჩვენებელი



105 ბრალდებულიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა **74** შემთხვევაში დაიწყო მოქალაქის მიმართ, ხოლო **31** შემთხვევაში -საჯარო მოხელის მიმართ.

ბრალდებულ პირთა თანამდებობა

10 შსს სხვა დეპარტამენტის თანამშრომელი

- 4 განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი
- 3 სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი
- 1 მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი
- 1 გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი
- 1 შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი

9 შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი

6 შსს კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი

4 სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელი

1 საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი

1 თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი

74 მოქალაქე

9.2. არასათანადო მოპყრობა

9.2.1. მიღებული შეტყობინებები

2024 წელს, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, შემოვიდა **2124** შეტყობინება. აქედან **68%** (**1437** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, **15%** (**317** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, **8%** (**179** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, **6%** (**121** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, ხოლო **3%** (**70** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **2124** შეტყობინება შეეხებოდა **2379** პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა **24%**-ის (**583** პირი) მიმართ შეტყობინებები **არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს**, **13%**-ის (**298** პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები **გადაიგზავნა სხვა უწყებაში,** ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, **14%**-ის (**342** პირი) მიმართ **დაიწყო გამოძიება, 19%**-მა (**448** პირი) **უარყო** შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, **7%**-ის (**163** პირი) მიმართ შემოსულ შეტყობინებებზე **მიმდინარეობს წარმოება,** ხოლო **23%**-ის (**545** პირი) შემთხვევაში შეტყობინება **წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას** გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით.

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება



მიღებული შეტყობინებების ავტორები



9.2.2. **გამოძიების დაწყება**

2024 წელს, დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, გამოძიება დაიწყო სულ **189 სისხლის სამართლის საქმეზე.**[2]



2 აღნიშნულ მონაცემებში ჩათვლილია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის 6 სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



უწყებები, რომლებზეც მიუთითებენ სავარაუდო მსხვერპლები



შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი

9.2.3. **სისხლისსამართლებრივი დევნა**

2024 წელს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 სისხლის სამართლის საქმეზე, 4 პირის მიმართ.

1) პატიმრის გარდაცვალების საქმე (სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

პენიტენციური დაწესებულების პატიმარი ჩართული იყო სუიციდის პრევენციის პროგრამაში, მოთავსდა სამეთვალყურეო ვიდეოკამერებით აღჭურვილ საკანში და დაუწესდა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების თანახმად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს ევალებოდა რეაგირება, თუკი სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული პირი 5 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში ტოვებს ვიდეოკამერების დაფარვის ზონას. მოთხოვნის მიუხედავად, 2024 წლის 5 ივნისს, ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს ინსპექტორმა, პატიმრის საპირფარეშოში შესვლის შესახებ, დაახლოებით 35 წუთის განმავლობაში არ აცნობა პენიტენციური დაწესებულების შესაბამის პირებს, რა დროსაც, პატიმარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ინსპექტორ-კონტროლიორს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში.

2) პატიმრის გარდაცვალების საქმე (სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

2024 წლის 12 სექტემბერს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორმა, პენიტენციური დაწესებულების დებულების მოთხოვნის საპირისპიროდ, სააბაზანო ოთახში გაყვანამდე, სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ პატიმარს არ ჩაუტარა სრულყოფილი შემოწმება, რითაც მას სააბაზანოში, სხვა პირად ნივთებთან ერთად, ზეწრის წაღების საშუალება მიეცა. სააბაზანო ოთახში უმეთვალყურეოდ დატოვებულმა პატიმარმა ზეწრის გამოყენებით მოიკლა თავი.

2024 წლის 15 ნოემბერს, ინსპექტორ-კონტროლიორს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში.

3) კრიმინალური პოლიციის დეტექტივის საქმე (სსკ-ის მუხლი 332-ე)

2024 წლის 13 თებერვალს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს დეტექტივმა, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და საამისოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, საკუთარი ნათესავის თხოვნით, მივიდა ქ. ზუგდიდში მცხოვრებ მოქალაქესთან, სადაც იარაღისა და ნარკოტიკის ჩადებით დაემუქრა, რომ ამ უკანასკნელს მისი არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გასაყვანად საჭირო უვადო მინდობილობა მიეცა ყოფილი მეუღლისთვის. აგრეთვე, პოლიციის დეტექტივი დაზარალებულს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში და იძულებული გახდა დათანხმებოდა მის მოთხოვნას.

2024 წლის 27 თებერვალს, სამართალდამცავს ბრალდება წარედგინა სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში.

4) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ხელახალი გამოძიება (სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული ხელახალი გამოძიებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქე ვლადიმერ მჭედლიშვილის მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, დაკავებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელი.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 15 მაისს, სიღნაღში, ქორწინების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი დაზარალებული ადმინისტრაციული წესით დააკავეს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა და გადაიყვანეს ამავე სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში. ერთ-ერთი ინსპექტორ-გამომძიებელი, რომელსაც დაზარალებულთან მოუვიდა შელაპარაკება, რამდენიმე წუთის განმავლობაში, დაკავებულს მუშტებსა და ფეხებს გვერდებისა და თავის არეში ურტყამდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. ძალადობის შედეგად, დაკავებულმა მიიღო ნეკნების მოტეხილობა და სხეულის სხვა მრავლობითი დაზიანება.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, აღნიშნული საქმე 2024 წელს გადმოიბარა და ხელახალი გამოძიების ჩატარება უზრუნველყო. განახლებული გამოძიების ფარგლებში, სამსახურმა საქმეში უკვე მოპოვებულ მტკიცებულებებთან ერთად, ახალი გარემოებები დაადგინა, რის შედეგადაც, 2024 წლის 14 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორ-გამომძიებელს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ'' ქვეპუნქტით ბრალდება წარედგინა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

9.2.4. **გამოძიების შეწყვეტა**

2024 წელს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/ მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, გამოძიება შეწყვიტა 86 საქმეზე, საიდანაც 33 საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო 2023 წელს, 20 საქმეზე - 2024 წელს, 14 საქმეზე - 2021 წელს, 13 საქმეზე - 2022 წელს, ხოლო 6 საქმეზე - 2020 წელს.

9.2.5. **შედარებითი ანალიზი**

შედარებითი ანალიზი გაკეთებულია წლების მიხედვით „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (არასათანადო მოპყრობის ფაქტები) გათვალისწინებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებულ შედეგობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. შედარებულია 2020, 2021, 2022 წლის (მარტი-დეკემბერი) და 2023 წლის მონაცემები 2024 წლის მაჩვენებლებთან, შემოსული შეტყობინებების რაოდენობის, გამოძიების დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასაბუთებული წინადადებების მაჩვენებლების მიხედვით.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



გამოძიების დაწყების პროცენტული მაჩვენებელი



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეებიდან 2020 წელს გაიხსნა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, 2021 წელს - 6 პირის მიმართ.

სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული საქმეებიდან, 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში გაიხსნა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ, 2023 წელს - 6 პირის მიმართ, ხოლო 2024 წელს - 4 პირის მიმართ.[3]

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



3 იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144[1]–144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები და „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები.

9.3. სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები

9.3.1. მიღებული შეტყობინებები

2024 წელს, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, შემოვიდა 115 შეტყობინება, რომლის 60% (69 შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 12% (14 შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, 13% (15 შეტყობინება) - აჭარის სამმართველომ, 10% (11 შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, ხოლო 5% (6 შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.



9.3.2. **გამოძიების დაწყება**

2024 წელს, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო 83 სისხლის სამართლის საქმეზე.



2024 წელს გახსნილია

28 მუქარა

28 ძალადობა

11 ოჯახში ძალადობა

6 ჯანმრთელობის დაზიანება

5 იძულება

3 თავისუფლების უკანონო აღკვეთა

3 ნივთის დაზიანება ან განადგურება

3 გამოძალვა

2 ჯგუფური ძალადობის ორგანიზება

2 ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება

1 გაუპატიურება

1 ადევნება

შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



9.3.3. სისხლისსამართლებრივი დევნა

2024 წლის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 29 პირის მიმართ 24 სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

9.4. პირადი ცხოვრების ხელყოფა, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, დისკრიმინაციული დანაშაულები

9.4.1. მიღებული შეტყობინებები

2024 წელს, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე მუხლები), შემოვიდა 555 შეტყობინება. აქედან 76% (419 შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, 10% (53 შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, 7% (41 შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, 4% (24 შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ, ხოლო 3% (18 შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



9.4.2. **გამოძიების დაწყება**

2024 წელს, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო **199 სისხლის სამართლის საქმეზე.**[4]



4 აღნიშნულ მონაცემებში ჩათვლილია “სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის 1 სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



9.4.3. **სისხლისსამართლებრივი დევნა**

2024 წელს, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153-ე-159-ე მუხლები) გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **64** საქმეზე, **72** პირის მიმართ.

9.4.4. **პედოფილიის გახსნილი საქმეები**

1) არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ხელყოფის საქმე (სსკ-ის 157-ე პრიმა მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილი)

2024 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, ზრდასრული მამაკაცი სოციალური ქსელით დაუკავშირდა 3 არასრულწლოვან გოგონას, რომლებსაც დაუმალა რეალური ვინაობა, ასაკი, უგზავნიდა ინტერნეტის მეშვეობით მოძიებულ სხვა პირის ფოტოსურათებს და თავის ვინაობასთან დაკავშირებით აწვდიდა სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაციას. ბრალდებული არასრულწლოვნებს უკავშირდებოდა როგორც მიმოწერით, ისე ვიდეო ზარის მეშვეობით, რა დროსაც თავად არ ჩნდებოდა კადრში, ხოლო დაზარალებულებს სთხოვდა სხვადასხვა სახის ინტიმური შინაარსის მოქმედების განხორციელებას და მათი ინფორმირების გარეშე იწერდა კომუნიკაციას. შემდგომ პერიოდში, ბრალდებული დაზარალებულ არასრულწლოვნებს, უკანონოდ მოპოვებული მათი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინტიმური შინაარსის მასალის გავრცელების მუქარით, აიძულებდა კომუნიკაციის გაგრძელებასა და ინტიმური შინაარსის მასალის გაგზავნას, ხოლო ერთ-ერთი დაზარალებულის ინტიმური ფოტოები სოციალურ ქსელში საჯაროდ განათავსა.

აღნიშნულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება, მათ შორის სოციალური ქსელის მეშვეობით) წარედგინა და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 6 თვის ვადით, საიდანაც 1 წელი და 6 თვე უნდა მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო 4 წელი ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით).

2) არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ხელყოფის საქმე (სსკ-ის 141-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, 157-ე პრიმა მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილი)

2024 წლის ზაფხულში, ბრალდებულმა მამაკაცმა სტადიონზე ფეხბურთის თამაშისას 12 წლის არასრულწლოვანი ბიჭი გაიცნო, მოიპოვა მისი ნდობა, გამოართვა მობილური ტელეფონის ნომერი და შემდგომ დღეებში, აპლიკაცია „Whatsapp“-ის გამოყენებით არაერთხელ დაუკავშირდა. ბრალდებული მსხვერპლს ესაუბრებოდა სექსუალური ცხოვრების დეტალებზე, უგზავნიდა სექსუალური აქტის ამსახველ და სხვა ინტიმური შინაარსის ფოტო/ვიდეო მასალას და მასაც სთხოვდა შიშველი სხეულისა და სექსუალური ხასიათის მოქმედების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გადაღება-გადაგზავნას, რაც 12 წლის არასრულწლოვანმა შეასრულა. შემდგომ პერიოდში, ბრალდებულმა კვლავ მოსთხოვა არასრულწლოვანს მსგავსი შინაარსის ფოტო-ვიდეო მასალის გადაღება და გადაგზავნა. დაზარალებულისგან უარის მიღების შემდეგ, დაემუქრა, რომ უკვე გადაგზავნილ ჩანაწერებს გაუვრცელებდა. გარდა ამისა, ბრალდებულმა სოციალურ ქსელში გაიცნო 13 წლის ბიჭი, მოიპოვა მისი ნდობა, რის შემდეგაც მოსთხოვა ინტიმური ქმედებების ამსახველი ვიდეოჩანაწერის გადაღება და გადაგზავნა. ბრალდებულის აღნიშნული მოთხოვნა 13 წლის დაზარალებულმა შეასრულა და ერთი ნახვის ფუნქციით გადაუგზავნა მისი ინტიმური შინაარსის ვიდეო, რაც ბრალდებულმა უკანონოდ შეინახა მობილურ ტელეფონში.

აღნიშნულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტითა (გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ) და სსკ-ის 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გამოყენება) წარედგინა. სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში.

3) 12 წლის არასრულწლოვანი მსხვერპლი გოგონას საქმე (სსკ-ის 141-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, 157-ე პრიმა მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილი)

2024 წლის ზაფხულში, მამაკაცმა სოციალურ ქსელში 12 წლის დაზარალებული გოგონა გაიცნო, რომელსაც გამოართვა მობილური ტელეფონის ნომერი და შემდგომი დღეების განმავლობაში უკავშირდებოდა ტელეფონის საშუალებით, ესაუბრებოდა სექსუალური ცხოვრების დეტალებზე, უგზავნიდა სექსუალური აქტის, ასევე, საკუთარი სასქესო ორგანოს ამსახველ და სხვა ინტიმური შინაარსის ფოტო/ვიდეო მასალას და სთხოვდა თავადაც გადაეღო შიშველი სხეულისა და სექსუალური ხასიათის მოქმედების ამსახველი ფოტოები და ვიდეოები, რაც დაზარალებულმა შეასრულა. პარალელურად, ბრალდებული მამაკაცი დაზარალებულს სთხოვდა შეხვედრას, სთავაზობდა მოფერებასა და ორალურ სქესობრივ კავშირს.

აღნიშნულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ) და სსკ-ის 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება და შენახვა) წარედგინა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.



პირადი ცხოვრების ხელყოფა

გამოძიება დაიწყო

177 საქმეზე

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

64 პირის მიმართ

ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

გამოძიება დაიწყო

19 საქმეზე

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

7 პირის მიმართ

9.5. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

2024 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალურ პროკურატურას **5** დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან:

— **3** დასაბუთებული წინადადება შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობას;

— **2** დასაბუთებული წინადადება შეეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას.

5-ვე წინადადება დაკმაყოფილდა.

დასაბუთებული წინადადების შინაარსი



დასაბუთებული წინადადებების შინაარსი



- გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობა
- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობა
- საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობა

10. გამოწვევები შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ძალის გადამეტების შემთხვევების გამოძიებისას

2019 წლიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახური (თავდაპირველად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, შემდგომში სპეციალური საგამოძიებო სამსახური), საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, აქციების მიმდინარეობის დროს, სამართალდამცავთა მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების არაერთ ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, 2019-2022 წლებში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, აქციის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავების მიერ ძალის შესაძლო გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით **36 საქმეზე** დაიწყო გამოძიება. თითოეულ ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა/მიმდინარეობს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას. მათ შორის:

1) ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობასთან შეკრების მიმდინარეობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. გამოძიება დაიწყო 09.11.2020წ.

2) 2021 წლის 19 თებერვალს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. გამოძიება დაიწყო 20.02.2021წ.

3) 2021 წლის 12 ივლისს, ქ. თბილისში, პოლიტიკური პარტია “ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს” ცენტრალურ ოფისთან გამართული საპროტესტო შეკრების მიმდინარეობისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. გამოძიება დაიწყო 13.07.2021წ.

4) 2021 წლის 29 ნოემბერს, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეულ თანამშრომელთა მიერ შეკრების მონაწილეების მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. გამოძიება დაიწყო 30.11.2021წ.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2022-2024 წლებში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აქციის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავების მიერ ძალის შესაძლო გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით **15 საქმეზე** (რამდენიმე საქმე აერთიანებს რამდენიმე ეპიზოდს) დაიწყო გამოძიება. თითოეულ ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა/მიმდინარეობს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 154-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებასა და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას. მათ შორის:

1) 2023 წლის 31 ივლისს, ბათუმის პორტში შემოსული რუსული გემი „ასტორიას“ გამო გამართული აქციისას დაკავებულთა მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან შესაძლო ძალადობის ფაქტზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, გამოძიება დაიწყო 31.07.2023წ.

2) 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით

შესაძლო გადამეტებისა და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 154-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიება დაიწყო 08.03.2023წ.

3) ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. გამოძიება დაიწყო 16.04.2024წ.

4) საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე და ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე. სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით. გამოძიება დაიწყო 29.11.2024წ.

აღნიშნული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა შემთხვევაში გამოწვევად რჩება სამართალდამცავების მხრიდან საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარება და გამოძიების შედეგად გამოკვეთილ ინდივიდუალურ ეპიზოდებში კონკრეტული სამართალდამცავების იდენტიფიცირება.

საგამოძიებო პრაქტიკის დასახვეწად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური ეცნობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებას მსგავსი კატეგორიის საქმეების გამოძიებასა და დემონსტრაციების მართვის საპოლიციო წესებთან დაკავშირებით. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ევროპის ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არ ავალდებულებს სამართალდამცავებს საპოლიციო ღონისძიებებზე ატარონ ისეთი მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, რომლებითაც მათი ვინაობის დადგენა არის შესაძლებელი.

მსგავსი საქმეების გამოძიების კომპლექსური ხასიათი, ასევე, განპირობებულია საპროტესტო აქციებში ხალხის მასების სიმრავლითა და არასაკმარისი რაოდენობის სათვალთვალო კამერების ჩანაწერების არსებობით, ასევე ხილვადობის შემზღუდველი სხვადასხვა ფაქტორით (ღამით ჩატარებული საპროტესტო აქციები, დაბალი განათება და სხვა.).

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მონაწილეობა მიიღო „პოლიციის საჩივრების დამოუკიდებელი ორგანოების ქსელის“ (IPCAN) ყოველწლიურ კონფერენციაში, რომელშიც მონაწილეობდნენ დანიის, ბელგიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, შვეიცარიისა და სხვა წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება სამართალდამცავების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენების შემთხვევების გამოძიების სპეციფიკასთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ მოცემულ ეტაპზე საერთო გამოწვევაა საპოლიციო ღონისძიებებში მონაწილე პოლიციელების/სპეციალური ძალების წარმომადგენლების იდენტიფიცირების საკითხი. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელსაც ქსელის (IPCAN) 16 წევრი ქვეყნის წარმომადგენელი აწერს ხელს. იგი შეეხება სხვადასხვა ქვეყანაში საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების დროს ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე, დემონსტრაციების დროს დეესკალაციისა და მოლაპარაკების მნიშვნელობას.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის შესაძლო გადამეტების საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ერთგვაროვანია, როგორც საქართველოსთვის, ისე ევროპული ქვეყნებისთვის. გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ დაკავებებისა და საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას ფიზიკური ძალის არაპროპორციული და გადამეტებული გამოყენების შემთხვევების სრულყოფილი გამოძიების საკითხი, დანაშაულში მონაწილე სამართალდამცავების იდენტიფიცირების კუთხით.

სამსახური, საკუთარი რესურსის ფარგლებში, აკეთებს მაქსიმუმს, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ყველა სახის მტკიცებულების მოპოვებისა და დანაშაულზე სწრაფი რეაგირებისათვის.

10.1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიების სპეციფიკასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული გამოწვევები[5]

2019 წლის 1-ელ ნოემბრიდან 2022 წლის 1 მარტამდე პერიოდში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ჩამოყალიბებამდე, ფუნქციონირებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც საკუთარ ანგარიშებში, ასევე, უთითებდა გამოწვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოძიებასთან.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დანაშაულის ფაქტის დადგენას ან უარყოფას და, შესაბამისად, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას აბრკოლებს რამდენიმე გარემოება, კერძოდ:

- ხალხმრავალ ადგილას სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის ფიზიკური კონტაქტის მიუხედავად, გასათვალისწინებელია საჯარო სივრცეში ვიდეოკამერების განთავსების ადგილი და ხედვის კუთხე (რაკურსი), რომელთა გამოც, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია მოქალაქეთა, ფაქტის შემსწრე პირთა და დამკავებელ მოხელეთა იდენტიფიცირება. რიგ შემთხვევაში, შეუძლებელია სამართალდამცავთა და სავარაუდო მსხვერპლთა კონკრეტული მოძრაობების/მოქმედებების გარჩევაც კი, რაც აუცილებელია გამოყენებული ფიზიკური ძალის თანაზომიერების შესაფასებლად. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, საპროტესტო შეკრებებზე შესაძლო ძალადობრივი ქმედებები ხორციელდება ღამის საათებში, რაც დამატებით ართულებს ხილვადობას. შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეებზე მოპოვებული ვიდეოჩანაწერები ნაკლებად ინფორმატიულია;

- სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირებას ართულებს ადმინისტრაციული დაკავების ოქმში დაშვებული უზუსტობები. კერძოდ, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე გამოკითხულმა სავარაუდო მსხვერპლმა განაცხადა, რომ მის მიმართ იძალადა არა ადმინისტრაციული დაკავების ოქმში დამკავებელ პირად მითითებულმა პოლიციის თანამშრომელმა, არამედ სხვა პირმა;

- სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენას ართულებს ისიც, რომ აქციების მიმდინარეობისას, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ხშირად აღჭურვილნი არიან სპეციალური ფორმებით (ე.წ. „რობოკოპით“ და ჩაფხუტით), რომლებზეც არ არის თვალსაჩინოდ დატანილი კონკრეტული მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;

- რიგ შემთხვევებში, სავარაუდო მსხვერპლები მიუთითებენ, რომ ისინი დააკავეს განზრახ უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებით, რომელიც არ იყო მათი დაკავების პროპორციული. „პოლიციისშესახებ“საქართველოსკანონითგათვალისწინებულიიძულებისღონისძიებების გატარებისას, პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ილეთები. ამავე კანონის თანახმად, ძალის გამოყენება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. შინაგან საქმეთა სამინისტროში არ არის შემუშავებული სტანდარტული პროცედურული წესები პირის დაკავებისა და ფიზიკური ძალის გამოყენებისას სამართალდამცავთა მხრიდან დასაშვები კონკრეტული მოქმედებების შესახებ. ასეთი სახელმძღვანელო დოკუმენტი უზრუნველყოფდა პოლიციის თანამშრომელთა მიერ იძულების ღონისძიების თანაზომიერად გამოყენებასა და არაპროპორციული ძალის გამოყენების პრევენციას. მისი არსებობა, ასევე, მნიშვნელოვანია გამოძიების მიერ პოლიციის თანამშრომლის მხრიდან გამოყენებული ძალის პროპორციულობის შესაფასებლად და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად.

5 იხ. სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, https://shorturl.at/5cMr2, გვ. 179-180.

10.2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიების სპეციფიკასთან დაკავშირებით 2023 წელს იდენტიფიცირებული გამოწვევები[6]

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარებული საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას სამართალდამცავთა მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების არაერთ საქმეზე და ეპიზოდზე აწარმოებს გამოძიებას. მასობრივი აქციების გამოძიება, მათი მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, დაკავშირებულია განსაკუთრებულ გამოწვევებთან და დეტალურ და მეთოდურ მიდგომას საჭიროებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო პრაქტიკაზე დაყრდნობით, სამსახურმა არაერთი გამოწვევა დააიდენტიფიცირა.

მსგავსი კატეგორიის საქმეების გამოძიებისას შესაძლო მოძალადე პირის იდენტიფიცირების, ძალადობის ფაქტობრივი გარემოებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დადგენისას გამოძიება აწყდება სხვადასხვა დაბრკოლებებსაც, რაც ართულებს შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღებას, კერძოდ:

- შემთხვევის ადგილზე არ არის განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერები;
- სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები არ იძებნება ან/და უხარისხოა;
- შემთხვევის ადგილზე არის ვიდეოკამერები, თუმცა მათი განლაგებისა და რაკურსის გათვალისწინებით, ხედვის არეალში არ ექცევა ინციდენტის ადგილი, ან ექცევა და შორი მანძილის გამო, შეუძლებელია განვითარებული მოვლენების მკაფიოდ აღქმა, მონაწილე პირების იდენტიფიცირება და მათი ქმედებების ზუსტი შეფასება;
- შემთხვევის ადგილზე რთული ხილვადობა, ხალხმრავლობა და სხვა;
- საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, ხალხმრავლობიდან გამომდინარე, აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის იმდენად მჭიდროა ფიზიკური კონტაქტი, რომ რთულია გარჩევა და მათი ქმედებების აღქმა/შეფასება. ხილვადობას კიდევ უფრო აუარესებს ღამის საათები ან/და გაზის გაშვების, წყლის ჭავლის გაფრქვევის შედეგად წარმოქმნილი ღრუბელი და სხვა ფაქტორები.

საგამოძიებო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გამოძიებას მოპოვებული აქვს სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც ასახულია სამართალდამცავის მხრიდან აქციის მონაწილის მიმართ ძალადობა, თუმცა სამართალდამცველის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები აღჭურვილნი არიან სპეციალური ფორმით (ე.წ. „რობოკოპით"/ ჩაფხუტით ან/და ნიღბით), რომელზეც არ არის დატანილი მაიდენტიფიცირებელი მონაცემი. შესაბამისად, ძალადობის ფაქტების თვითმხილველი პირების არსებობის შემთხვევაშიც კი თითქმის შეუძლებელია არაპროპორციული ძალის გამომყენებელი სამართალდამცველის იდენტიფიცირება და ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება.

სპეციალური აღჭურვილობის მქონე თანამშრომლის იდენტიფიცირების ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა იყოს საპროტესტო შეკრების ადგილზე მოსვლისა და შემდგომ პერიოდში მისი გადაადგილების/მოქმედებების ამსახველი სრული ეპიზოდის ვიდეოჩანაწერების ანალიზი, თუმცა, როგორც წესი, აქციაზე შეკრებილი ხალხის მასა და გადაადგილება შეუძლებელს ხდის კონკრეტული პირის მოძრაობის სრული სურათის აღდგენას.

„პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის" შესახებ 2013 წლის 31 დეკემბრის №1006 და „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები არეგულირებს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის წესებს, მათ

6 იხ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?rec_id=20, გვ. 71-72.

შორის სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხს. აღნიშნული ბრძანებებით, ჩასაცმელ აღჭურვილობაზე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დატანა არ არის სავალდებულო.

10.3. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიების სპეციფიკასთან დაკავშირებით 2024 წელს იდენტიფიცირებული გამოწვევები

სპეციალური საგამოძიებო სამსახური აქტიურად და სრული მასშტაბით აგრძელებს საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიებას. აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ჩატარებული ასეულობით საგამოძიებო მოქმედების მიზანს წარმოადგენს მტკიცებულებების შეგროვება, კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტებისა და მონაწილე პირების დადგენა. გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად, სამსახური აიდენტიფიცირებს აღნიშნული კატეგორიის საქმეებისთვის დამახასიათებელ ობიექტურ გამოწვევებს, რომლებიც გარკვეულწილად აბრკოლებენ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, ქ. თბილისში, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გამოძიება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, სხვადასხვა წყაროდან შემოვიდა შეტყობინებები, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან აქციის მონაწილეებისა და ცალკეული ჟურნალისტების უფლებების დარღვევის შემთხვევებს ეხებოდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოახდინა. გამოძიების დაწყებიდან დღემდე გამოკითხულია 476 პირი, მათ შორის 51 ჟურნალისტი და 130 სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა აქციაზე დაშავებული 236 პირის მიმართ დაინიშნა.

სამსახურმა მოიპოვა მედიასა და საჯარო ინტერნეტ-სივრცეში გასული ჩანაწერები, მიმდინარეობს საპროტესტო აქციის გამართვის ადგილზე და მიმდებარე ქუჩებზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შესწავლა. ამ ეტაპისთვის მოპოვებული ჩანაწერების ჯამური ხანგრძლივობა 2000 საათს აღემატება.

მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ამოღებული იქნა 63 პირის ტანსაცმელი, რაზეც დაინიშნა ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები.

დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიმდინარეობს აქციაზე დაკავებულ პირთა ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალების გამოთხოვა და შესწავლა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებასა და დაშავებულ მოქალაქეთა დაკავებაში მონაწილე სამართალდამცავების გამოკითხვები.

გამოძიება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და ცალკეული სამართალდამცავების იდენტიფიცირების მიზნით, ატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედებას.

შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საქართველოს პროკურატურის დადგენილებით, დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა ყველა იმ მოქალაქეს, რომლებმაც დაზარალებულად ცნობაზე ბრალდების მხარეს მიმართეს, დღეის მდგომარეობით საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 85 პირი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური აქციაზე დაშავებული მოქალაქეების უფლებების დასაცავად კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას იყენებს, ამ მიზნით თითოეულ მათგანს უტარდება სამედიცინო ექსპერტიზა, მათი დაზიანების დოკუმენტირებისთვის კლინიკებიდან ხდება სამედიცინო დოკუმენტების გამოთხოვა, გამოძიება სწავლობს მათ მიერ გამოკითხვაში დაფიქსირებულ ყველა გარემოებას, თითოეულ პირს და მათ უფლებადამცველებს სისხლის სამართლის საქმის მასალებთან წვდომისა და გაცნობის შესაძლებლობა ეძლევათ, მაქსიმალურად ინფორმირებულნი არიან მიმდინარე გამოძიების პროცესის თაობაზე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, იმ რესურსით, რომელიც უწყებას გააჩნია, თითოეულ დანაშაულებრივ ფაქტზე სამართლებრივი შედეგის დასადგომად, მაქსიმალურ ძალისხმევას წევს და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას აქტიურ რეჟიმში განაგრძობს. აღნიშნულის პარალელურად სამსახური აიდენტიფიცირებს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც აფერხებს ამ ტიპის საქმეების ეფექტურად გამოძიებას, რაც სამსახურის მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნება გამოძიების მსვლელობისას.

10.4. შეკრებებისა და მანიფესტაციების საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით

ევროპული ქვეყნების საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის გადამეტების შემთხვევების გამოძიება აღნიშნული მოვლენების მასშტაბებისა და გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, კერძოდ:

- **საიდენტიფიკაციო ნიშნების არარსებობა:** საპროტესტო აქციების დაშლისას, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხშირად აღჭურვილები არიან სპეციალური ფორმებით (ე.წ. „რობოკოპით“, ჩაფხუტით, ნიღბებით), რომლებზეც არ არის დატანილი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი. აღნიშნული მოცემულობა საგრძნობლად ართულებს არაპროპორციული ძალის გამომყენებელი სამართალდამცავის იდენტიფიცირებასა და ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებას;

- **ხალხის მასების სიმრავლე**: მასშტაბურ საპროტესტო აქციებში მონაწილეობს უამრავი ადამიანი, რაც აბრკოლებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ შესაძლო არაპროპორციული ძალის გამოყენების შემთხვევების ფაქტების დადგენას;

- **ტექნოლოგიური შეზღუდვები:** საპროტესტო აქციების ჩატარების ადგილზე ან მის მიმდებარედ შესაძლოა განთავსებული იყოს სათვალთვალო კამერები, თუმცა მათი განლაგების, რაკურსის ან ტექნოლოგიური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ხშირად ვერ ხდება სამართალდამცავის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტის მკაფიო აღბეჭდვა, ან სურათები და ვიდეო კადრები არ არის სათანადო ხარისხის, რათა შესაბამისი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველზე, საქმეზე დამაგრდეს კონკრეტული პირის მაიდენტიფიცირებელი ნეიტრალური მტკიცებულებები;

- **ხილვადობის შეზღუდვა:** ღამით ჩატარებული საპროტესტო აქციები ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს დაბალი განათების პირობებში, რაც საგრძნობლად ამცირებს დანაშაულებრივი ფაქტის ან დანაშაულის ჩამდენი სუბიექტების ამსახველი ვიზუალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას;

- **საქმეების სიმრავლე:** მსგავსი კატეგორიის საქმეების გამოძიება დაკავშირებულია ასეულობით ეპიზოდის სრულყოფილ შესწავლასთან, რაც თავის მხრივ საკმაოდ დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები წარმოადგენს ობიექტური დაბრკოლებების არასრულ ჩამონათვალს, რომლებსაც აწყდებიან ევროპის წამყვანი ქვეყნების შესაბამისი საგამოძიებო

უწყებები შეკრებებისა და მანიფესტაციების საქმეებზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების ფაქტებზე გამოძიების წარმოებისას.

— საფრანგეთი - „ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობა

საპროტესო აქციებზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან ძალადობის გამოყენებით უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე გამოძიების წარმოების საკმაოდ დიდი და საინტერესო გამოცდილება გააჩნია საფრანგეთს.

„ყვითელი ჟილეტების” მოძრაობის სახელით ცნობილი საპეროტესტო აქციები საფრანგეთში 2018-2020 წლებში ყოველკვირეულად იმართებოდა. აღნიშნული საპროტესო აქციები არაერთხელ გადაიზარდა შეტაკებებში აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები დემონსტრანტების დასაშლელად სხვადასხვა ტიპის სპეციალურ საშუალებებსა და ფიზიკურ ძალას იყენებდნენ. ხელმისაწვდომ წყაროებში მოცემული ინფორმაციის თანახმად, აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის ძალადობრივი დაპირისპირებების შედეგად სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო საერთო ჯამში აქციების დაახლოებით 3000-მა მონაწილემ, გარდაიცვალა 11 აქტივისტი, 24-მა დემონსტრანტმა დაკარგა თვალი, ხოლო 5 დემონსტრანტი დარჩა კიდურის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო 1500-ზე მეტმა სამართალდამცავმა. [7-8]

საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი[9], ასევე საერთაშორისოდ აღიარებული და ცნობილი უფლებადამცველი ორგანიზაციები, მათ შორის „Human Rights Watch“ და „Amnesty International“, სისტემატურად უთითებდნენ, რომ მრავლად ფიქსირდებოდა საფრანგეთის სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მხრიდან უფლებამოსილების ძალადობის გამოყენებით გადამეტების შემთხვევები, როგორც აქციის მონაწილეების, ისე ადგილზე მომუშავე ჟურნალისტების მიმართ. „Human Rights Watch“-ის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში და საკუთრივ 2020 წლის მსოფლიო ანგარიშში მითითებულია, რომ საფრანგეთის პოლიციის მიერ დემონსტრაციების მართვის პროცესმა გამოიწვია ათასობით ადამიანის დაზიანება, რა დროსაც სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა, მათ შორის სკოლის მოსწავლეებმა და ჟურნალისტებმა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებასთან დაკავშირებით ასეულობით საქმეზე დაწყებული იყო გამოძიება, თუმცა ანგარიშის შექმნის მომენტისთვის არცერთი პალიციელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყო დაწყებული.[10] ანალოგიურად, კრიტიკული შეფასებები ჰქონდა „Amnesty International“-ს საკუთარ ანგარიშში „კანონის შეიარაღება საფრანგეთში მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობად“. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, „Amnesty International“ მოუწოდებს საფრანგეთის მთავრობას, რომ შექმნას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ შესული საჩივრების განმხილველი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო, რომელსაც ექნება შესაბამისი მანდატი და სათანადო რესურსი პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეების მიმართ ჩადენილი დანაშაულების სრულყოფილად გამოსაძიებლად. უფრო მეტიც, მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება უზედამხედველოს ან თავად წარმართოს IGPN - ის (საფრანგეთის ეროვნული პოლიციის გენერალური ინსპექცია) და IGGN - ის (საფრანგეთის ჟანდარმერიის გენერალური ინსპექცია) წარმოებაში არსებული საქმეები. უფლებადამცველი ორგანიზაცია ხსენებულ ანგარიშში, ასევე, გამოხატავს კრიტიკას, რომ საფრანგეთის სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებს „ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო აქციებზე საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას სამსახურებრივ ფორმებზე არ ჰქონდათ დატანილი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. [11]

„ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავების მხრიდან ძალადობის გამოყენებით უფლებამოსილების გადამეტების

7 იხ. https://www.aa.com.tr/en/europe/casualties-from-yellow-vest-protests-rise/1469388;
8 იხ. https://en.wikipedia.org/wiki/Yellow_vests_protests;
9 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პუბლიკაცია, „გაეროს ექსპერტები გმობენ ყვითელი ჟილეტების მომიტინგეების უფლებების მკაცრ შეზღუდვას“, https://shorturl.at/aB1tT;
10 იხ. „Human Rights Watch“ 2020 წლის მსოფლიო ანგარიში, გვ. 116-117, https://www.hrw.org/sites/default/files/world_report_download/hrw_world_report_2020_0.pdf;
11 იხ. Amnesty International“, 2020 წლის სპეციალური ანგარიში, „კანონის შეიარაღება საფრანგეთში მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობად“, https://www.amnesty.org/en/wp-content/uploads/2021/05/EUR2117912020ENGLISH.pdf.

ფაქტებზე გამოძიებას აწარმოებს საფრანგეთის ეროვნული პოლიციის გენერალური ინსპექცია (IGPN - L'inspection générale de la police nationale).

— საფრანგეთის ეროვნული პოლიციის გენერალური ინსპექციის (IGPN) 2020 წლის ანგარიში „ყვითელი ჟილეტების" მოძრაობასთან დაკავშირებულ გამოძიებებზე

2018 წლის 17 ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრამდე პერიოდში, „ყვითელი ჟილეტების" მოძრაობის დროს საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ძალადობის სავარაუდო შემთხვევების თაობაზე IGPN (ეროვნული პოლიციის გენერალური ინსპექცია) 456 საქმეზე აწარმოებდა გამოძიებას.

აღნიშნული გამოძიებები ჩატარდა წინასწარი გამოძიების ჩატარებისთვის დადგენილი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში. მათგან 417 (91%) საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა პროკურორის ზედამხედველობით, ხოლო 39 საქმეზე სასამართლო გამოძიების ფარგლებში გაცემული საგამოძიებო დავალების შესაბამისად.

„IGPN"-ის მიერ, 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის დეკემბრამდე, წარმოებული გამოძიებების 88% (საერთო ჯამში 406 საქმე) დასრულდა და გადაეგზავნა სასამართლო საგამოძიებო ორგანოებს გადაწყვეტილების მისაღებად. 295 საქმეზე მალევე იმსჯელა სასამართლომ და დაასრულა გამოძიება პოლიციელების მიმართ დამატებითი ზომების მიღების გარეშე.

— საპროტესტო აქციების გამოძიების გამოწვევები და შედეგები

საფრანგეთის ეროვნული პოლიციის გენერალური ინსპექციის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევების გამოძიებას ართულებს სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ:

- შეუძლებელია სამართალდამცავი უწყების თანამშრომლების იდენტიფიცირება საპროტესტო აქციების დაშლისას მათ აღჭურვილობაზე საიდენტიფიკაციო ნიშნების არარსებობის გამო;

- გამოკითხული მოწმეების უმრავლესობას უჭირს შესაძლო დანაშაულის ჩადენის ადგილის იდენტიფიცირება;

- გამოკითხული მსხვერპლების უმეტესობას უჭირს შესაძლო დანაშაულის ჩადენის მომენტში მის გარშემო მყოფი აქციის სხვა მონაწილეების იდენტიფიცირება;

- სამართალდამცავების მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების შემთხვევების გამოძიება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. სამართალდამცავს უფლება აქვს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენოს ფიზიკური ძალა, რომელიც აუცილებელი და პროპორციულია ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. მხოლოდ ძალის გამოყენების შედეგები (თუნდაც დრამატული) არ განსაზღვრავს მათ ლეგიტიმურ ან არალეგიტიმურ ხასიათს;

რაც შეეხება „ყვითელი ჟილეტების" აქციის მონაწილეების მიმართ ძალის გადამეტებაში მხილებულ სამართალდამცავებსა და გამოძიების შედეგებს, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მოიძია საჯარო წყაროებში არსებული ყველა სისხლის სამართლის საქმე და ამ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები:

1) 2019 წლის 16 ნოემბერს, პარიზში, "ყვითელი ჟილეტების" პროტესტის მიმდინარეობისას, პოლიციელმა ფაბრის ტ.-მ აქციის მონაწილე - მანუელ კუისნეს თვალში მოახვედრა ცრემლსადენი გაზის ხელყუმბარა, რამაც გამოიწვია მარცხენა თვალის დაკარგვა. ჩატარებული გამოძიების შედეგად, დადგინდა, რომ ფაბრის ტ.-მ არ დაიცვა რეკომენდებული სროლის კუთხე (30°-45°), რის შედეგადაც ხელყუმბარა ზედმეტად დაბალი კუთხით გაისროლა, რამაც გამოიწვია დაზიანება. პოლიციელი ბრალდებულია ძალადობისთვის, რამაც გამოიწვია სხეულის დაზიანება ან მუდმივი შეზღუდული შესაძლებლობა. საქმე გადაგზავნილია პარიზის სისხლის სამართლის სასამართლოში განსახილველად. პოლიციელის მიმართ არ არის გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება.

2) 2019 წლის მაისში, პარიზში, პოლიციელმა დაშლილი ქვაფენილიდან აღებული ქვა ისროლა დემონსტრანტების მიმართულებით, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაშავდა. ამ ფაქტზე პოლიციელი ბრალდებული იყო ძალადობისთვის, რამაც გამოიწვია სხეულის დაზიანება. სასჯელის სახედ და ზომად მას განესაზღვრა 2 თვიანი პირობითი მსჯავრი.

https://www.rfi.fr/en/france/20191219-police-officer-suspended-jail-sentence-violence-throwing-stone-yellow-vest-protests.

3) 2019 წლის 26 იანვარს, ჟერომ როდრიგესი პარიზში, ბასტილიის მოედანზე იმყოფებოდა „ყვითელი ჟილეტების" მოძრაობის მე-11 აქტის დროს. პოლიციის ოფიცრის მიერ ნასროლი ხელყუმბარა მოხვდა დემონსტრანტების ჯგუფს, სადაც როდრიგესი და კიდევ ერთი პროტესტის მონაწილე - მიქაელი იდგნენ. როდრიგესი, რომელიც პირდაპირ ეთერში გადასცემდა მსვლელობის მოედანზე შესვლას, დაშავდა და დაზიანების შედეგად დაკარგა მარჯვენა თვალი. 2025 წლის 24 იანვარს, საგამოძიებო კოლეგიის ორმა მოსამართლემ ხსენებულ ფაქტზე ბრალდებული 34 წლის პოლიციელის საქმე გადაამისამართა პარიზის სისხლის სამართლის სასამართლოში. საქმეზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

https://www.liberation.fr/societe/police-justice/gilets-jaunes-le-policier-qui-a-eborgne-jerome-rodrigues-sera-juge-par-la-cour-criminelle-20250124_GGW3WBLZWRDMXP3AOEGALIJF5Y/.

4) 2019 წლის 26 იანვარს, ჯერომ როდრიგესთან ერთად იმყოფებოდა აქციის კიდევე ერთი მონაწილე სახელად - მიქაელი (Mickael), რომელსაც ერთ-ერთმა პოლიციელმა მიაყენა ფიზიკური დაზიანება. აღნიშნული სამართალდამცავი მიცემული იქნა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

5) 2020 წლის ივნისში, ფრანგულმა სასამართლომ 18-თვიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა პოლიციელს, რომელმაც 2019 წლის 12 იანვარს, სტრასბურგში, „ყვითელი ჟილეტების" პროტესტის დროს 62 წლის ქალს დაარტყა. ინციდენტი ვიდეოკადრებზე დაფიქსირდა, რომელშიც ჩანს პოლიციელი, რომელიც ურტყამს და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს 62 წლის ქალს, რამაც საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

https://www.aa.com.tr/en/europe/french-policeman-sentenced-over-yellow-vest-beating/1887345.

— ბელგიაში საპროტესტო აქციების გამოძიების სპეციფიკა და გამოწვევები

ბელგიაში პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევების გამოძიებას ძირითადად ფედერალური პოლიციის შიდა საქმეების სამსახური (Service des Affaires Internes) აწარმოებს, რომელიც პასუხისმგებელია პოლიციის შესაძლო უკანონო მოქმედებებთან დაკავშირებით შესული საჩივრების განხილვაზე. ასევე, ბელგიაში ფუნქციონირებს „ფედერალური და ადგილობრივი პოლიციის გენერალური ინსპექტორატი" (The General Inspectorate of the Federal and Local Police of Belgium), რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოს და ამოწმებს პოლიციის სამსახურების საქმიანობას და მათი გამართული ფუნქციონირებისთვის გასცემს რეკომენდაციებს.

გარდა აღნიშნულისა, ბელგიაში დაფუძნებულია პოლიციის მონიტორინგის კომიტეტი (Comite P), რომელიც 1991 წლიდან წარმოადგენს დამოუკიდებელ ზედამხედველობით ორგანოს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიციის ქმედებების მონიტორინგის მიმართულებით, რათა უზრუნველყოს სამართალდამცავების მხრიდან კანონისა და მოქალაქეების უფლებების პატივისცემა. ბელგიის საზოგადოებრივი პროკურორის ოფისი (Public Prosecutor's Office) შესაძლოა ჩაერთოს გამოძიების პროცესში თუ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ქმედებებში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

ზემოხსენებული კომიტეტი (Comite P) მონიტორინგს უწევს სამართალდამცავი ორგანოების მიერ საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებას და ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. როგორც საპოლიციო ღონისძიებების მეთვალყურე უწყება (Watchdog), კომიტეტი აწარმოებს გამოძიებებს და აფასებს პოლიციის კონკრეტულ მოქმედებებს, რათა წარმოდგენა შექმნას ზოგადად ბელგიის პოლიციის მუშაობის სპეციფიკაზე და საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს კონკრეტული

რჩევებით/რეკომენდაციებით. კომიტეტში, ასევე, დასაქმებულები არიან სპეციალიზებული გამომძიებლები, რომლებსაც გააჩნიათ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების უფლებამოსილება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთისას კომიტეტი მასალებს უზიარებს სასამართლოს შესაბამის უწყებას. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო უწყებამ შესაძლოა საქმე გამოსაძიებლად დაუბრუნოს კომიტეტს. [12]

ბოლო წლებში ბელგიაში სისტემატურად ტარდებოდა მასობრივი საპროტესტო აქციები და დემონსტრაციები, რომლებიც არაერთხელ გადაიზარდა აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში. კერძოდ, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები გამოხატავდნენ კრიტიკას „შავკანიანების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ (Black Lives Matter) ლოზუნგით ბელგიაში 2020 წელს გამართული მასობრივი დემონსტრაციებისას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობის შემთხვევებთან მიმართებით. ბელგიის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის შესაძლო გადამეტების არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა 2018-2019 წლებში ე.წ. „ყვითელი ჟილეტების“ სახელით ცნობილი საპროტესტო აქციებისა და 2021 წელს, ანტი-COVID შეზღუდვებთან დაკავშირებული საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილეებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირებებისას.

ბელგიაში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ფედერალური ინსტიტუტი, რომლის 2021 წლის 14 ივნისის მოხსენებაში ხაზგასმულია ბელგიაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან საპროტესტო აქციების მართვისას და, ასევე, სხვა შემთხვევებში გამოვლენილი ძალადობის პრობლემები და სისტემური გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლიან ეფექტიანი გამოძიების წარმოებასა და დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული სამართალდამცავებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, კერძოდ:

- სამართალდამცავების მიერ ჩადენილი შესაძლო ძალადობის საერთო სტატისტიკის არარსებობა, რაც ხელს უშლის პრობლემის მასშტაბურობის აღქმას;
- არაეფექტიანი გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნებისა და განაჩენების სიმცირე მსგავსი კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით;
- საჩივრების მექანიზმების არსებობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა საზოგადოებაში, რაც ამცირებს დაზარალებულებისგან კომპეტენტური ორგანოებისთვის მიმართვიანობას;
- მსხვერპლთა სამართლებრივი და სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობა;
- გამოძიების ხანგრძლივობა.[13]

აღსანიშნავია, რომ ბელგიის ფედერალური და ადგილობრივი პოლიციის გენერალური ინსპექტორატი საკუთარ მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან ძალადობის ფორმების უკანონო გამოყენების თაობაზე საიმედო სტატისტიკის არარსებობაზე და მოუწოდებს ხელისუფლებას საერთო მონაცემთა ბაზის შექმნისკენ.

12 იხ. პოლიციის მონიტორინგის კომიტეტის (Comite P) მიერ გამოცემული საინფორმაციო ხასიათის პუბლიკაცია „საპოლიცო სამსახურების მეთვალყურე“, 2023წ, https://comitep.be/document/doc-download/information%20brochure%20Comit%C3%A9%20P.pdf.

13 იხ. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ფედერალური ინსტიტუტის 2021 წლის 14 ივნისის მოხსენება, https://www.institutfederaldroitshumains.be/sites/default/files/2022-06/read-the-report.pdf.

11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის, დარღვევის ფაქტების გამოძიება

2022 წლის 24 მაისს, საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება გაძლიერდა და მის ქვემდებარეობას, სხვა დანაშაულებთან ერთად, დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-18 მუხლის, დარღვევის ფაქტს. აღნიშნული ფორმულირება შეიცვალა 2022 წლის 30 ნოემბერს და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის, დარღვევის ფაქტს.“

2024 წელს, იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმე), სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო **7** საქმეზე, ხოლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ.

უწყების მიერ ჩატარებული ხელახალი გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 15 მაისს, ქალაქ სიღნაღში, პოლიციის თანამშრომლებმა მოქალაქე მჭედლიშვილი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და გადაიყვანეს სიღნაღის პოლიციის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ერთ-ერთი ინსპექტორ-გამომძიებელი, რამდენიმე წუთის განმავლობაში, დაკავებულს მუშტებსა და ფეხებს გვერდებისა და თავის არეში ურტყამდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. ძალადობის შედეგად, დაკავებულს დაუდგინდა ნეკნების მოტეხილობა და სხვა მრავლობითი დაზიანება.

მომხდარ ფაქტზე თავდაპირველი გამოძიება 2017 წელს დაიწყო. პარალელურად, დაზარალებულმა, საკუთარი უფლებების დასაცავად, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა, რომელმაც საქმეზე გადაწყვეტილება 2023 წლის 14 დეკემბერს მიიღო და დაზარალებულ მჭედლიშვილის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა დაადგინა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოს ხელახალი გამოძიების ჩატარების ვალდებულება გაუჩნდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქმე 2024 წელს გადმოიბარა და ხელახალი გამოძიების ჩატარება უზრუნველყო. განახლებული გამოძიების ფარგლებში, სამსახურმა, საქმეში უკვე მოპოვებულ მტკიცებულებებთან ერთად, ახალი გარემოებები დაადგინა, რა მიზნითაც, ჩატარდა კომისიური სასამართლო-სამედიცინო და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზები, მოძიებულ იქნენ ფაქტის თვითმხილველი მოწმეები და ამოღებული იქნა საქმისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ხელახლა ნაწარმოები გამოძიებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორ-გამომძიებელი სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისთვის დააკავა.

დაკავებულს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

12. გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები, გამოწვევები და რეკომენდაციები

12.1. შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებული გამოწვევები

სამსახურს წარმოებაში აქვს სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილ ოჯახში ძალადობას, აგრეთვე, სხვა სახის ძალადობრივ დანაშაულებს, რომელშიც იკვეთება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძვლები. ხსენებული კანონი ორდერის გამოცემის უფლებამოსილებას მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს ანიჭებს, ამიტომ, სპეციალური საგამოძიებო სამსახური იმ შემთხვევებზე, რომელშიც იკვეთება პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულები, შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მაინც მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფს.

იყო შემთხვევები, როდესაც სამსახურში მიმდინარე გამოძიებისას გამოიკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა პოტენციურმა მსხვერპლმა უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის შედგენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ დანაყოფში მისვლაზე, იმ მიზეზით, რომ მოძალადე იყო ამავე სამინისტროს თანამშრომელი (მიუხედავად აღნიშნულისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფში მაინც გაიგზავნა მიმართვა ორდერის გამოცემის თაობაზე და დანაყოფის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაციის შემდეგ, გამოიცა შემაკავებელი ორდერი, მსხვერპლისთვის მისაღებ გარემოში).

საგულისხმოა, რომ გამოცემული შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობა აღსასრულებლად ევალებოდა იმავე დანაყოფის თანამშრომლებს, სადაც პოტენციური მოძალადე მუშაობდა, რადგან ბრძანების თანახმად, შემაკავებელი ორდერის პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე ბრძანების თანახმად, დამცავი და შემაკავებელი ორდერის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია გაესაუბროს მსხვერპლსა და მოძალადეს, მათ შორის, კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე, შეხვედრისა და გასაუბრების მიზნით დაიბაროს ისინი პოლიციაში ან/და განახორციელოს წინასწარ შეთანხმებული ან შეუთანხმებელი (დაუგეგმავი) ვიზიტები მათ საცხოვრებელ ადგილებზე.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, სამსახურში გამოძიება დაიწყო სულ **24 საქმეზე** (ოჯახში ძალადობა - 16, ქალთა მიმართ - 8). აღნიშნულ საქმეებზე ორდერის გამოცემის მოთხოვნით სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა - **7 შემთხვევაში** (ოჯახში ძალადობა - 5, ქალთა მიმართ ძალადობა - 2);

2023 წელს, სამსახურში გამოძიება (ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობა) სულ დაიწყო - **28 საქმეზე** (ოჯახში ძალადობა - 10, ქალთა მიმართ - 18); სამსახურმა შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა - **5 შემთხვევაში** (ოჯახში ძალადობა - 2, ქალთა მიმართ - 3);

2024 წელს, სამსახურში გამოძიება (ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობა) დაიწყო - **30 საქმეზე** (ოჯახში ძალადობა - 18, ქალთა მიმართ - 12); აღნიშნულ საქმეებზე შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა - **12 შემთხვევაში** (ოჯახში ძალადობა - 10, ქალთა მიმართ - 2);

სამსახურის მიერ, 2023 წელს გაცემული რეკომენდაციის შემდეგ, ჩამოყალიბებული პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემაკავებელ ორდერები აღარ გამოიცემა იმ სტრუქტურულ დანაყოფში, რომელშიც მუშაობს პოტენციური მოძალადე, თუმცა, იმისთვის, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას შინაგან საქმეთა სამინისტროს

თანამშრომლის მიმართ არსებობდეს კონტროლის უფრო მყარი და ეფექტიანი მექანიზმი, მსხვერპლს ჰქონდეს ნდობა სამართალდამცავი ორგანოს მიმართ და რისკები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, აუცილებელია სამართლებრივად დარეგულირდეს ის, რაც პრაქტიკაში უკვე ნაყოფიერადაა დანერგილი, კერძოდ, ორდერი გამოსცეს არა იმ სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელშიც ძალადობაში მხილებული პირი მუშაობს, არამედ ზემდგომმა ან სხვა სტრუქტურულმა დანაყოფმა.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, შევიდეს ცვლილება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ" შინაგან საქმეთა მინისტრის №81 ბრძანებაში და მათი თანამშრომლების მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოსცეს და შესრულება გააკონტროლოს ზემდგომმა, ან სხვა სტრუქტურული დანაყოფის წარმომადგენელმა.

12.2. გამოწვევები საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-დან შემოსულ შეტყობინებებზე

არსებული პრაქტიკის თანახმად, შეტყობინება, რომელსაც მოქალაქე აწვდის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის ოპერატორს და შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან ძალადობის/არასათანადო მოპყრობის ფაქტს, იგზავნება შსს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე (126), რომელიც იმავე შეტყობინებას პირვანდელი ფორმით აგზავნის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე (199).

იმისათვის, რომ მოქალაქის მიერ „112"-ზე გაკეთებულ ზარს დროული რეაგირება მოჰყვეს, მნიშვნელოვანია, „112"-ში მიღებული შეტყობინება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურშიც შემოვიდეს.

გარდა ამისა, ანალიზმა ცხადყო, რომ შეტყობინებები ხშირად ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს თანამშრომლის მხრიდან ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩამდენი პირის, ჩადენის დროისა და ადგილის, ძალადობის კონკრეტული ფორმის შესახებ.

2024 წლის განმავლობაში, სამსახურში შემოსული სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინებების ყველაზე დიდი ნაწილი (60%) სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროდანაა, მათ შორის, გენერალური ინსპექციიდან გადმოიგზავნა შეტყობინების 22%, რომელთა დიდი ნაწილი გენერალურ ინსპექციაში, სწორედ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-დან არის შესული.

მოქალაქის მიერ „112"-ზე გაკეთებულ შეტყობინებას, რომელიც ეხება სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დანაშაულს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან რომ მოყვეს ეფექტიანი და დროული რეაგირება, მნიშვნელოვანია, უფრო მეტად დაიხვეწოს შეტყობინებების არსებული მექანიზმი და სამართალდამცავების მიმართ არსებულ პრეტენზიებზე, რომლებიც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განსახილველია, „112"-ში შესული შეტყობინებები პარალელურად, შეიძლება გადმოიგზავნოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, იარსებებს რისკები შეტყობინებაზე დროული რეაგირების ვერ მოხდენის, რის გამოც, შესაძლოა დაგვიანდეს საგამოძიებო ჯგუფის შემთხვევის ადგილზე გასვლა, მტკიცებულებების დროულად მოპოვება და დამაგრება, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის ეფექტიანი გამოძიების წარმოებას.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, შესაბამისი პირობებისა და რესურსების მოძიების შემდგომ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის ოპერატორები, სასწავლო აქტივობის ჩატარების გზით, ეტაპობრივად გადამზადდნენ და მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების შესახებ. გადამზადების შედეგად, „112"-ის ოპერატორები შეძლებენ მოქალაქეებისგან პირველადი შეტყობინების მიღებისას, დაუსვან მათ საბაზისო ხასიათის დამაზუსტებელი შეკითხვები,

რაც შემდგომში გამომძიებელს მისცემს საშუალებას უფრო ეფექტურად დაგეგმოს და მოახდინოს პირველადი რეაგირება.

- მიზანშეწონილია, ოპერატორების გადამზადებისა და შესაბამისი შეტყობინების სისტემის მოწყობის შემდეგ, დაიგეგმოს შემდგომი ნაბიჯები, რათა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ში შესული შეტყობინებები, რომლებიც შეეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გადაგზავნის პარალელურად, გამოიგზავნოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ცხელი ხაზის მეშვეობით, რაც გააუმჯობესებს შეტყობინებაზე დროული რეაგირების კომპონენტს.

12.3. დაკავების სტანდარტები და ნეიტრალური მტკიცებულებები

სამსახურის 2024 წლის ანგარიშის სტატისტიკურ ნაწილშიც აღინიშნა, რომ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ფიგურირებს სულ 561 სავარაუდო მსხვერპლი. ამ მსხვერპლთაგან ყველაზე მეტი წილი, კერძოდ, 42% ადმინისტრაციული და 9% სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებული პირია.

შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, კვლავაც გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან დაკავებისა და ეფექტური კონტროლის განხორციელებისას ფიზიკური ძალის არაპროპორციულად და გადამეტებით გამოყენების შემთხვევები. მსხვერპლთა ნაწილი დაკავებისას ძალის გადამეტების შემთხვევებზე, კვლავაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე მიუთითებს.

ამ ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი უწყებების, განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გატარდეს შესაბამისი ზომები დაკავების სტანდარტების გაუმჯობესებისა და მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დანაყოფებისთვის, რომლებიც საპროცესო ღონისძიებების განხორციელების დროს სამხრე კამერებს იყენებენ, დაკავების სტანდარტებისა და დაკავებულის მიმართ ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები, ასევე, უნდა მოიცავდეს ვიდეომონიტორინგის სისტემების ეფექტიანად გამოყენების წესებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საკითხებსაც, რათა სამართალდამცავსა და მოქალაქეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ამსახველი ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულება უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყოს.

სწორედ ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულების არსებობის აუცილებლობაზეა საუბარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე სამართალდამცავებს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის წარმოება ვიდეომონიტორინგის პირობებში უწევთ. სასამართლომ ამ გადაწყვეტილების მიღება სამართალდამცავების მოქმედების ნდობის ამაღლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნით ახსნა. კერძოდ, სხვა გარემოებებთან ერთად აღნიშნა, რომ „განუზომლად დიდია პოლიციელის განხორციელებული ქმედებისადმი ნდობის არსებობის მნიშვნელობა მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულებისათვის. ამავე დროს, ვერც ერთი სახელმწიფო ორგანო, სასამართლოც კი, ვერ მოახერხებს ნდობის მოპოვებას საქმიანობის სათანადოდ განხორციელების გარეშე.

როდესაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზეა დამოკიდებული, მათი სანდოობის განსაზღვრისათვის არსებითი იქნება ის, თუ რამ გამოიწვია ასეთი ვითარების შექმნა. პოლიციელის კეთილსინდისიერი მოქმედების პრეზუმირება ბევრად უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი (განუზომლად რთული) იყო ჩხრეკის სანდოობასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მოპოვება. თუმცა, როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და მოქალაქესა და სამართალდამცავებს შორის მომხდარი ინციდენტის ობიექტურად შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, არსებობდეს დაკავების სტანდარტების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამისად გადამზადდებიან დამკავებელი პირები და რომელიც უზრუნველყოფს დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერის ეფექტურ ფიქსაციასა და მოპოვების შესაძლებლობას.

სამსახურის მიერ 2024 წელს გამოძიებადაწყებულ საქმეებზე, რომელშიც სავარაუდო მსხვერპლები მიუთითებდნენ სამართალდამცავთა მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე, დანაშაულის ჩადენის ადგილად ქუჩა დასახელდა 405 შემთხვევაში (63%), ავტომანქანა - 104 შემთხვევაში (16%), შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა - 59 შემთხვევაში (9%) და პენიტენციური დაწესებულება - 30 შემთხვევაში (5%).

დღეის მდგომარეობით, დაკავებული პირების მუდმივი ვიდეომეთვალყურეობა დროებითი მოთავსების იზოლატორში და საჭიროებისამებრ, პატიმრობის დროს სასჯელაღსრულების სისტემის პენიტენციურ დაწესებულებაში ხორციელდება. ამის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში არ არსებობს დაკავების პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რაც, ბუნებრივია იძლევა საშუალებას, რომ დაკავებულმა პირმა რიგ შემთხვევაში უსაფუძვლოდ ამხილოს სამართალდამცავი, ხოლო თავის მხრივ, სამართალდამცავმა ასეთი მონიტორინგის არარსებობის დროს გადაამეტოს უფლებამოსილებას.

ამასთან, ვიდეომონიტორინგი საგამოძიებო ორგანოს, პროკურატურასა და სასამართლოს გაუადვილებს ფაქტის ობიექტურად შეფასებასა და გამოყენებული ძალის პროპორციულობის ან/და უკანონო ზემოქმედების დადგენას.

აღსანიშნავია, რომ 2022-2023 წლების მსგავსად, 2024 წელსაც დაბალი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან საპოლიციო დანაყოფების ადმინისტრაციული შენობებიდან ვიდეოჩანაწერების გადმოცემის მაჩვენებელი. ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებში ვიდეოფიქსაციასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობდა, ასევე, საპატრულო პოლიციის სამხრე კამერებთან მიმართებითაც, რაც საბოლოო ჯამში, ართულებს მომხდარი ფაქტის ობიექტურად შეფასებას და პირდაპირ აისახება გამოძიების ეფექტიანობაზე.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ვიდეომონიტორინგის ტენდენციის გაგრძელება, აღნიშნული პროცესის მართვის დახვეწა და ვიდეოფიქსაციის შემთხვევების გაზრდა მოიტანს ადამიანის უფლებათა დაცვის მეტ გარანტიებს, სამართალდამცავთა მიმართ ძალადობრივი ქმედებების შესახებ მოქალაქეთა განცხადებებისა და თავად სამართალდამცავთა მხრიდან გადაცდომების/არასათანადო მოპყრობის შემთხვევების კლებას და გაზრდის გამოძიების ეფექტიანობას.

რეკომენდაცია:

- საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების მიერ უნდა გაიზარდოს სამხრე კამერების გამოყენების შემთხვევები, რათა მოქალაქის პრეტენზია/საჩივრებთან დაკავშირებით არსებობდეს ობიექტური ნეიტრალური მტკიცებულებები;

- მიზანშეწონილია, გაიზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში ვიდეოფიქსაციის შემთხვევები და გამოძიებისთვის ვიდეოკამერის ჩანაწერების გადმოცემის რაოდენობა, რათა მოქალაქის პრეტენზია/საჩივრებთან დაკავშირებით გამოძიებას ჰქონდეს ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალება;

- მიზანშეწონილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც სისხლის სამართლის, ასევე, ადმინისტრაციული წესით პირის დაკავებისთვის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, შეიმუშავოს დაკავების სახელმძღვანელო დოკუმენტი/სასწავლო მოდული იმ დანაყოფებისთვის, რომლებიც საპროცესო ღონისძიებების განხორციელების დროს იყენებენ სამხრე კამერებს.

- მიზანშეწონილია, ასევე, დოკუმენტი მოიცავდეს ვიდეომონიტორინგის სისტემების ეფექტიანად გამოყენების წესებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საკითხებს. მიზანშეწონილია, შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის/სასწავლო მოდულისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეტაპობრივად და კასკადურად დაიწყოს იმ თანამშრომელთა გადამზადება, ვისაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა;

- მიზანშეწონილია, დაკავების სტანდარტების სახელმძღვანელო დოკუმენტის/სასწავლო მოდულის შემუშავებასთან და თანამშრომელთა გადამზადებასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მხრიდან სამხრე კამერების ეფექტური გამოყენებით, გაიზარდოს ნეიტრალური მტკიცებულების (ვიდეოჩანაწერის) მოპოვების შემთხვევები;

- მიზანშეწონილია, გაიზარდოს პროცესის ვიდეოფიქსაციის შემთხვევები, უფრო მეტი გამჭირვალობისა და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

12.4. სამეთვალყურეო და სამხრე კამერების ჩანაწერების დროულად გადმოცემის უზრუნველყოფა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სავარაუდო დანაშაულის ადგილზე განთავსებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ვიდეო ჩანაწერების დროული მოპოვება, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისა და პატრულ-ინსპექტორების სამხრე კამერებზე ჩაწერილ ვიდეო მასალას.

ვინაიდან, სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა უმეტესი ნაწილი შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებს, ყველაზე მეტი სასამართლოს განჩინება ვიდეოჩანაწერების გამოთხოვასთან დაკავშირებით, იგზავნება სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ - „112“-ში. საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ განჩინების გადაგზავნის შემდეგ „112'' დაგვიანებით აწვდის სამსახურს ვიდეო ჩანაწერებს. შესაბამისად, ისეთი ახალი მტკიცებულებების მოპოვება, რომელთა საჭიროება ჩნდება „112''-დან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისა და ანალიზის შედეგად, ხშირად დაგვიანებული ან/და შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში იგზავნება წერილები, რომელთა უმრავლესობა შეეხება დამკავებელ, თანმხლებ სამართალდამცველთა და შემთხვევის ადგილზე მყოფ სხვა პირთა ვინაობას, პირის დაკავების კონკრეტული ადგილის იდენტიფიცირებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა სამხრე კამერების საიდენტიფიკაციო ნომრების დადგენას, ბორტის ჩანაწერების არსებობას და ა.შ. იმ პირობებში, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროში საპატრულო პოლიციის სამხრე კამერების ჩანაწერის შენახვის ვადად განსაზღვრულია 30 დღე, ხოლო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობებში კამერების ჩანაწერები ხელმისაწვდომია მხოლოდ 14 დღის განმავლობაში, მოთხოვნილი ინფორმაციის შემჭიდროებულ ვადებში მოუწოდებლობისას, გამოძიება ვეღარ ახერხებს ვიდეოჩანაწერების მოპოვებას, რადგან შენახვის ვადის გასვლის შემდგომ ისინი ავტომატურად იშლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან წერილზე პასუხის (რომელშიც მითითებულია პატრულ-ინსპექტორის სარგებლობაში არსებული სამხრე ვიდეოკამერის იდენტიფიკატორი ე.წ. „სტიკერის'' ნომერი) მიღების შემდგომ არის შესაძლებელი

სასამართლოსთვის ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართვისთვის საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება.

შესაბამისად, საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებში გაგზავნილ წერილებზე პასუხები იგზავნება დაგვიანებით ან/და არასრულად. განსაკუთრებით აქტუალურია ხსენებული საკითხი, როდესაც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება იგზავნება დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღის/კვირის გასვლის შემდეგ.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობით (ცალკეულ სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოს ფორმატში), შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითება/რეკომენდაცია, რომლის მეშვეობითაც სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ვიდეო ჩანაწერების გადმოცემა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება მოხდება შემჭიდროებულ ვადებში.

12.5. ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები

სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე სავარაუდო მსხვერპლები პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ფაქტებზე პრეტენზიის დაფიქსირებისას, მათზე განხორციელებული ძალადობის ფორმად ხშირად უთითებენ ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერის შემთხვევებზე.

იმ საქმეებიდან, რომლებზეც 2024 წლის განმავლობაში დაიწყო გამოძიება, ხელბორკილების ძლიერად მოჭერის შესახებ 23-მა სავარაუდო მსხვერპლმა მიუთითა 15 სისხლის სამართლის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად შეუძლია გამოიყენოს ხელბორკილი:

- დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს;
- გაქცევას ცდილობს;
- დაკავებულის ან დაპატიმრებულის ბადრაგირებისას;
- თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს საკუთარ თავსა და სხვას.

იმ პირობებში, როდესაც ხელბორკილის გამოსაყენებლად პოლიციელს გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, ხელბორკილის არასათანადოდ გამოყენება - მოჭერა, რა თქმა უნდა, ცალსახად არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სამართალდამცავის მხრიდან მოტივირებული და მიზანმიმართული ძალადობრივი ქმედება. დაკავების გარემოებებისა და ზოგადად დაკავების ღონისძიების პროცესის სირთულის გათვალისწინებით, მათ შორის, გადაუდებელი აუცილებლებლობისას, ქუჩაში, ხალხმრავალ ადგილებში, დაკავებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევისას, დაკავებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა სამართალდამცავის მიერ ხელბორკილის დადებისას პროპორციული მოჭერის ზომა სათანადოდ ვერ შეირჩეს და დაკავებულმა ეს მიზანმიმართულ ქმედებად ჩათვალოს. ასევე, ხელბორკილის დადების ადგილზე ფიზიკური დაზიანების კვალი არა მხოლოდ მისი ძლიერად მოჭერის შედეგად, არამედ ზომიერად მისი მორგების დროსაც შეიძლება დარჩეს, თუკი დაკავებული განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ხელბორკილის დადების ფორმა და ძლიერად მოჭერა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება ემსახურებოდეს დაკავებული პირისათვის ტკივილის მიყენებას ან მისი გამოყენება ხდებოდეს არასათანადო

ფორმითა და არაპროპორციული ზომით - მოჭერით, მაგალითად პირის დასჯის ან/და საკუთარი უპირატესობის დემონსტრირების მოტივით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში შეინიშნება ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერაზე სავარაუდო მსხვერპლთა საჩივრების კლების ტენდენცია. თუკი 2021 წელს, სისხლის სამართლის საქმეებში ხელბორკილის ძლიერად მოჭერის თაობაზე 59 დაკავებული პირი აფიქსირებდა პრეტენზიას, 2022 წელს - 36 პირი, 2023 წელს - 31 პირი, 2024 წელს ანალოგიური საჩივრით 23-მა პირმა მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. რაც ნიშნავს, რომ დაკავებული პირების ამ ტიპის პრეტენზიამ 2021 წელთან მიმართებით, 2022 წელს 39%-ით, 2023 წელს 47%-ით, ხოლო 2024 წელს 61%-ით იკლო.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, ყველა სამართალდამცავმა ორგანომ ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს სასწავლო მოდული, რომელიც დაარეგულირებს როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული წესით დაკავების პირობებში ხელბორკილის გამოყენების სტანდარტებს;

- მიზანშეწონილია, ყველა სამართალდამცავმა ორგანომ, პირველ რიგში შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასწავლო მოდულისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეტაპობრივად და კასკადურად, თუნდაც უახლოეს 2-3 წელიწადში გადაამზადოს ის თანამშრომლები, რომელთაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა. აღნიშ-ნულის შედეგად, სამართალდამცავი ორგანოები თავად შეძლებენ ძალის გადამეტების მიზანმიმართული ფაქტების თავიდან აცილებასა და ამ შემთხვევათა ეფექტიან მართვას.

12.6. პენიტენციურ დაწესებულებებში სამეთვალყურეო კამერების შენახვის ვადებთან დაკავშირებული გამოწვევები

კვლავ გამოწვევად რჩება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის საკითხი, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“.

ჯერ კიდევ 2019-2020 წლებში, ჩანაწერების მცირე დროით შენახვა, გამოძიებისთვის შემაფერხებელი იყო რამდენიმე პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები ინახებოდა არაუმეტეს 6 დღე-ღამისა. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრის მომართვა საგამოძიებო ორგანოსათვის, შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე, ხშირ შემთხვევებში აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ხდებოდა, კამერების ჩანაწერების არარსებობა ხელს უშლიდა ფაქტობრივი გარემოებებისა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

2020 წლის 1-ელ სექტემბერს, №35 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და პენიტენციურ დაწე-სებულებებში სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადად განისაზღვრა არანაკლებ 30 დღე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსგავსი შინაარსის მტკიცებულე-ბების მოპოვების შესაძლებლობისა და გამოძიების ეფექტიანობის ზრდას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, კვლავ შევიდა ცვლილება №35 ბრძანებაში. პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადა შემცირდა და განისაზღვრა არანაკლებ 10 დღე. აღნიშნული ცვლილება შეეხო ყველა პენიტენციურ დაწესებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადის შემცირება იწვევს მნიშვნელოვან სირთულეებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ობიექტური და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით.

მართალია, ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია ვიდეოჩანაწერების შენახვის ქვედა ზღვარი და 10 დღიანი ვადის გასვლა ავტომატურად არ იწვევს ჩანაწერების დაკარგვას, თუმცა, არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ შეუძლებელი გახდება ვიდეოჩანაწერების მოპოვება.

სამსახურში, რამდენიმე საქმის გამოძიებისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 10-დან 20 დღემდე ვადაში მიემართა ვიდეოკამერების ჩანაწერების დაარქივების მოთხოვნით, თუმცა, სამსახურს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან ეცნობა, რომ ბრძანებაში მითითებული, ჩანაწერების შენახვის 10 დღიანი ვადის გასვლის გამო ჩანაწერები აღარ ინახებოდა და ვერ მოხერხდებოდა მოთხოვნილი ინფორმაციის დაარქივება. ამასთან, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ინახებოდა უკვე დაარქივებული ვიდეომასალა, თუმცა ის მოიცავდა მოთხოვნილი დასაარქივებელი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილს. შესაბამისად, შეუძლებელი გახდა გამოძიების საინტერესო ვიდეოჩანაწერების მოპოვება.

გარდა აღნიშნულისა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც თუნდაც 10 დღიანი ვადის დაცვით მიმართვის შემთხვევაშიც კი, საგამოძიებო სამსახურს ეთქვა უარი ვიდეოკამერების ჩანაწერების დაარქივებაზე და მიზეზად დასახელდა ტექნიკური ხარვეზის არსებობა.

ხშირ შემთხვევებში პატიმრები შეტყობინების გაკეთების დაგვიანების მიზეზად დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივ განთავსებასა და შეტყობინების/განცხადების დროულად გაკეთების შესაძლებლობის არ ქონას უთითებენ. არის შემთხვევები, როდესაც პატიმარი საჭიროებს რამდენიმე დღეს, იურიდიული კონსულტაციის მისაღებად ან/და რამდენიმე დღის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზით, უარს აცხადებს ინფორმაციის მოწოდებაზე.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, გადაისინჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანება და პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადა გაიზარდოს.

12.7. გადაუდებელი აუცილებლობისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გადაყვანის პრობლემა სამოქალაქო კლინიკაში

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პენიტენციური დაწესებულებებიდან სამოქალაქო კლინიკაში გაყვანა რეგულირებულია „ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით და „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით.

პაციენტის დაწესებულებიდან კლინიკაში გადაუდებელ გადაყვანას, არეგულირებს, №149 ბრძანების მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებიდან გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანისას, დაწესებულების მთავარი ექიმი ან მისი არყოფნის შემთხვევაში ექიმი, ტელეფონით უკავშირდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს უფროსს ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის პირველადი ჯანდაცვისა და ამბულატორიული სერვისების სამმართველოს უფროსს და მოახსენებს ინფორმაციას ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ან სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს უფროსი ან პირველადი ჯანდაცვისა და ამბულატორიული სერვისების სამმართველოს უფროსი, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით,

აფასებს გაყვანა/გადაყვანის საჭიროების საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანისათვის მოიძიებს შესაბამის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოს, ტელეფონით უკავშირდება და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს განყოფილებას.

ამავე ბრძანების 66-ე მუხლის შესაბამისად, „გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის დაყოვნებამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს მძიმე შედეგი, რაც დადასტურებული იქნება ექიმის რეკომენდაციით, ესკორტირებას ახორციელებს შესაბამისი დაწესებულების უსაფრთხოების ან/და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლებისაგან, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ჯგუფი ექიმის თანხლებით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ საგუშაგო ფუნქციების და ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაბარებას მოახდენს ესკორტირების ჯგუფი“.

შესაბამისად, სამართლებრივ აქტით რეგულირებულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ქცევის წესის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის დაყოვნებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მძიმე შედეგი. მოცემულ შემთხვევაში მძიმე შედეგი არ არის განმარტებული, თუმცა ეს არის ექიმის მიერ შესაფასებელი და ივარაუდება შემთხვევები, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. 66-ე მუხლის ჩანაწერი ცალსახად მიუთითებს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის პრიორიტეტულობაზე, რის გამოც უშვებს ქცევის განსხვავებულ წესს, ვიდრე მე-8 მუხლის მე-12 ნაწილშია გათვალისწინებული.

ამ თვალსაზრისით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ორ სხვადასხვა საქმეზე ჩატარებული გამოძიებისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

ერთ-ერთ საქმეზე, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში, მსჯავრდებული გახდა შეუძლოდ და სიმპტომებიდან გამომდინარე დაესვა დიაგნოზი - მოსალოდნელი მიოკარდიუმის ინფარქტი. ამასთან, ექიმისათვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ პაციენტს 7 წლის წინ გაკეთებული ჰქონდა კორონარული შუნტირება და შესაძლებელია განვითარებოდა განმეორებითი მიოკარდიუმის ინფარქტი. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ნაცვლად იმისა, რომ დაწესებულების თანამშრომლებისგან შემდგარ ჯგუფს განეხორციელებინა დაუყოვნებლივი გადაყვანა კლინიკაში, მოხდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საბადრაგო ჯგუფების გამოძახება, რომელთა ადგილზე გამოცხადება დაკავშირებული იყო გარკვეულ დროსთან, რომელიც პაციენტისთვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. უფრო მეტიც, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიის დატოვებისთანავე, პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის ექიმებმა დაიწყეს პაციენტისთვის რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარება. იმავდროულად, საბადრაგო ჯგუფის წევრებს მიუთითეს უახლოეს სამოქალაქო კლინიკაში პაციენტის სასწრაფო წესით რეფერალის თაობაზე, თუმცა, საბადრაგო ჯგუფის წევრებმა განუმარტეს, რომ ბრძანებით განსაზღვრული იყო თბილისში მდებარე სამოქალაქო კლინიკა (რომელთანაც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება) და უარი განაცხადეს პაციენტის უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანაზე. შესაბამისად, პაციენტი, უკვე განსაზღვრულ კლინიკაში მიყვანამდე გარდა-იცვალა.

მეორე სისხლის სამართლის საქმეზე, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმარი გახდა შეუძლოდ და მას აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება, შემდგომ კი გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადამ პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე პატიმარი გადაეყვანათ სამოქალაქო სექტორის კლინიკაში, რომელთანაც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის მდგომარეობა იყო კრიტიკულად მძიმე, ესკორტირების ჯგუფის მოსვლამდე მისი გადაყვანა ვერ მოხერხდა დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში. შემდგომ იგი მოათავსეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ავტომანქანაში და გაემართნენ თბილისში მდებარე

სამედიცინო კლინიკის მიმართულებით, თუმცა, გზაში ყოფნისას, პატიმარმა დაკარგა გონება და გარდაიცვალა.

როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზით ირკვევა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პატიმრების გარდაცვალების შემთხვევებიდან, არცერთ შემთხვევაში არ განხორციელებულა პაციენტი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანა №149 ბრძანების 66-ე მუხლის შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში დაუყოვნებლივ შექმნილი საბადრაგო ჯგუფის მიერ.

ასევე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, მათი წარდგენის გზით სამედიცინო მომსახურებას უწევს კონკრეტული სამოქალაქო კლინიკები, აღნიშნულ კლინიკებსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული კლინიკების რიცხვი არ არის მრავალრიცხოვანი (31 კლინიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით) და ზოგიერთ შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულებიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დაწყებულია აქტიური მუშაობა ბრალდებულის/მსჯავრდებულის ესკორტირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებზე, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც უმთავრესს პრიორიტეტს. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირება უზრუნველყოფს გაცემული რეკომენდაციის პრაქტიკაში იმპლემენტაციას.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია გადაუდებელი აუცილებლობის დროს მოხდეს პაციენტის გადაყვანა უახლოეს სამოქალაქო კლინიკაში, რაც მკვეთრად შეამცირებს პაციენტის სიცოცხლის მოსპობის ან ამგვარი საფრთხის შექმნის რისკებს. შესაბამისად, „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს, რომ პატიმრის გადაუდებელი მკურნალობის საჭიროებისას, პრიორიტეტულად მოძიებული უნდა იქნეს უახლოესი სამოქალაქო კლინიკები, რომლებსაც აქვს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევის რესურსი (მიუხედავად იმისა, გაფორმებულია თუ არა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და კლინიკას შორის შესაბამისი ხელშეკრულება), რათა პაციენტს დროულად გაუწიონ სათანადო მკურნალობა. ამასთან, სასურველია, თუკი სპეციალური პენიტენციური სამსახური განიხილავს პენიტენციური დაწესებულებების სიახლოვეს განთავსებულ სამედიცინო კლინიკებთან (განსაკუთრებით ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში - რუსთავში და გარდაბანში, სადაც ჯამში მდებარეობს 5 პენიტენციური დაწესებულება) მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების საკითხს, რათა პატიმრის გადაყვანის შემთხვევაში, წინასწარი დაგეგმვის გზით, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოებისთვის საჭირო პირობები და სათანადო ინფრასტრუქტურა (მათ შორის საგუშაგოების მოწყობის მიზნით);

- პრაქტიკაში ქმედითად გამოიყენებოდეს №149 ბრძანების 66-ე მუხლის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის და ესკორტირების ჯგუფის დალოდებამ შესაძლოა გამოიწვიოს მძიმე შედეგი, პენიტენციური დაწესებულების ექიმის რეკომენდაციით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა უნდა უზრუნველყოს დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლებისგან საბადრაგო ჯგუფის შექმნა და პატიმრის დროულად გადაყვანა უახლოეს სამედიცინო კლინიკაში;

- აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, სასურველია, პენიტენციურ დაწესებულებებში მუდმივად მობილიზებული იყოს შესაბამისი საკადრო რესურსი, შიდა საბადრაგო ჯგუფის დასაკომპლექტებლად.

12.8. სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პატიმრების სამოქალაქო კლინიკებში დაგვიანებული რეფერალის გამოწვევები

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა გარდაცვალებასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების პროცესში, გამოიკვეთა არაერთი გამოწვევა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანასა და პროცედურებზე.

სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიებით დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ერთ-ერთ მსჯავრდებულს, აპრილში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევებით დაესვა დიაგნოზი, რომელიც საჭიროებდა ოპერაციულ მკურნალობას დაჩქარებული წესით. პაციენტის გაყვანის/რეფერალის საკითხი ელექტრონულ პროგრამაში დადგენილი წესით დაარეგისტრირა მთავარმა ექიმმა, ხოლო კომისიის მიერ დადებითად გადაწყდა პაციენტის სამედიცინო მომსახურების გაწევა გეგმიური დაჩქარებული წესით, რაც სავალდებულო წესით უნდა მომხდარიყო რეგისტრაციიდან 1-4 თვის ვადაში, თუმცა პაციენტის გაყვანა კანონით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა, მდგომარეობა დამძიმდა და ოპერაციული ჩარევა განისაზღვრა სასწრაფო დაყოვნებული წესით. მთავარმა ექიმმა აღნიშნული კვლავ დააფიქსირა ელექტრონულ პროგრამაში, თუმცა ვინაიდან პირადად არ მოახდინა ცვლილებაზე ინფორმირება, სამმართველოს მიერ ვერ ინახა მდგომარეობის ცვლილების/დამძიმების დოკუმენტაცია და არც დადგენილ 2-5 დღეში არ გაიყვანეს პაციენტი. ნოემბერში, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და ექიმმა დამატებით კვლავ ატვირთა საჭირო დოკუმენტაცია პროგრამაში; ამჯერად მდგომარეობის ცვლილება დაფიქსირდა და კომისიაზე პაციენტის გაყვანა მოხერხდა 2-5 დღის ვადაში (პირველად დამდგარი საჭიროებიდან რამდენიმე თვის დაგვიანებით). პაციენტს სამოქალაქო კლინიკაში ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად გარდაიცვალა.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გაყვანის საკითხი დარეგულირებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით, რომლის მე-2 მუხლი განსაზღრავს პენიტენციური დაწესებულებიდან, სამკურნალო დაწესებულებიდან და ცენტრიდან პაციენტის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გეგმური და გადაუდებელი გადაყვანის საკითხს. კერძოდ, პირველ ნაწილში ასახულია, რომ პაციენტის სამედიცინო მომსახურების მიზნით, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გეგმური გადაყვანა ხორციელდება კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით, ხოლო გადაუდებელი წესით გადაყვანა ხორციელდება სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით. ბრძანებით განსაზღრულია სამედიცინო ინტერვენციის სახეები: სასწრაფო დაყოვნებული და გეგმური. საქმის გამოძიებისას გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ექიმმა განსაზღვრა პაციენტის გეგმიური გაყვანის საჭიროება, თუმცა თავადვე მიუთითა, რომ პაციენტს გაყვანა ესაჭიროებოდა გეგმური დაჩქარებული წესით. აღნიშნული ბრძანება არ განსაზღვრავს პაციენტი პატიმრის დაჩქარებული წესით სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანის საკითხს (მათ შორის ვადებს). როდესაც ექიმი საჭიროდ მიიჩნევს პაციენტის დაჩქარებული წესით გაყვანას, თუმცა არა გადაუდებელი აუცილებლობის საჭიროებას, სამართლებრივი აქტი არ ავალდებულებს რომელიმე მხარეს უფრო მცირე ვადაში განხორციელდეს პაციენტის რეფერალი, ვიდრე ეს გეგმური რეფერალისთვისაა დადგენილი. ცალკე გამოწვევაა ადამიანური რესურსის ნაკლებობა, რაც ართულებს აღნიშნული ვადების დაცვას ყველა პაციენტთან მიმართებით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანება განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტებს. აღნიშნული ბრძანებით, სტანდარტის ერთ-ერთ სახეა გეგმურ ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება. კერძოდ, გეგმური სტაციონარული მომსახურება უპირატესად მოიცავს გეგმიურ ქირურგიულ მკურნალობას და მოლოდინის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. ეს ვადა შეიძლება დაირღვეს/გადაიდოს ობიექტური მიზეზით, როგორიცაა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მოთხოვნილ მომსახურებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა

და ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში არსებული შეფერხებები.

ასევე, გამოწვევაა რეფერალის პროცედურები, რაც თავის მხრივ ქმნის სირთულეებს საგამოძიებო მიმართულებით. №55 ბრძანების მიხედვითაც, მთავარი ექიმი წარადგენს რეფერალის საკითხების განმხილველი კომისიისადმი სათანადო შუამდგომლობის ელექტრონულად, რომელშიც განხილული უნდა იყოს დაწესებულებაში საჭირო სამედიცინო მომსახურების ჩატარების შეუძლებლობა და უნდა ერთვოდეს ფორმა 100, ასევე, ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციის ამსახველი გასინჯვის ფურცელი, რის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია, განსაზღვრავს ინტერვენციას და რიგის სახეს.

შუამდგომლობის ელექტრონულ წარდგენაში იგულისხმება რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში პაციენტის დარეგისტრირება და სათანადო დოკუმენტაციის ატვირთვა. დარეგისტრირების შემდეგ აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ და ინფორმაციას იღებს შესაბამისი სამმართველო, რომელიც ყველა საჭირო დოკუმენტაცის განსახილველად გადასცემს კომისიას. კომისიის სხდომის ოქმის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება აისახება ამავე პროგრამაში. იმ შემთხვევაში თუ ექიმის მიერ სიტუაციის შეცვლის შესაბამისად დამატებით მოხდება დოკუმენტაციის ატვირთვა (მაგალითად, თუ პაციენტი გასაყვანი იყო გეგმიურად, თუმცა დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ესაჭიროება სასწრაფო დაყოვნებული წესით გაყვანა), ასეთ დროს ექიმის მიერ პროგრამაში ცვლილების ასახვის შემთხვევაში ცვლილებას ვერ ხედავს სამმართველო, თუ თავად ექიმმა არ მიაწოდა ინფორმაცია, ზეპირსიტყვიერად, სატელეფონო ზარით ან ელექტრონულ ფოსტაზე მიწერის გზით. აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ პრაქტიკაში დადგენილ წესს და სამართლებრივად არ რეგულირდება.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, მოწესრიგდეს რეფერალთან დაკავშირებით არსებული ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ასახული ნებისმიერი ცვლილება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, მყისიერად იქნება თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი შესაბამისი თანამშრომლისთვის.

12.9. სუიციდის პრევენციის პროგრამის გამოწვევები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 26 ოქტომბრის N643 ბრძანებით დამტკიცდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომლის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურისადმი დაქვემდებარებულ პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა, მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული დახმარების მიწოდების ხელშეწყობა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს პატიმართა სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართვის საკითხებს, მათ შორის პროგრამის მიზანს, რომელსაც წარმოადგენს სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს სუიციდის რისკის მატარებელი პირების იდენტიფიცირება და მათი პროგრამაში ჩართვა.

ამ კუთხით, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებებში, პატიმართა მიღებისას, განსაზღვრულია შემდეგი ვალდებულება: ადგილობრივი კოორდინატორის შეტყობინების საფუძველზე, სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასების მიზნით, აღნიშნული პატიმრის ფსიქოლოგის შეხვედრის აუცილებლობა. ამასთან, სამართლებრივ აქტებში არ არის განსაზღვრული, დაწესებულებაში მიღების შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით პატიმართა სავალდებულო სპეციალური სკრინინგის ჩატარება სუიციდის რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, რაც საყურადღებოა.

სამართლებრივი აქტებით არ რეგულირდება სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა მიმართ, პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნისას (მათ შორის სამოქალაქო კლინიკაში, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ საექსპერტო დაწესებულებაში და ა.შ.) გასატარებელი ღონისძიებები და სპეციფიკური მიდგომები, მათ შორის, მუდმივი ვიდეომონიტორინგი ან/და გარკვეული პერიოდულობით, უშუალო ვიზუალური მეთვალყურეობა.

პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის სუიციდთან დაკავშირებით, სამსახურში მიმდინარე გამოძიების პროცესში, გამოიკვეთა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი ცალკეული სამართლებრივი აქტების დახვეწის საჭიროება, რიგ შემთხვევაში კი - შექმნა/შემუშავება.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, დაიხვეწოს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემა, რათა არ მოხდეს ისეთი პატიმრებისთვის დაბალი რისკის განსაზღვრა (რაც ნიშნავს პატიმრის დარჩენას სუიციდის პრევენციის პროგრამის მიღმა), რომლებიც ობიექტურად არიან საშუალო ან/და მაღალი რისკის მატარებელნი;

- მიზანშეწონილია, სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნის სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცევა, ამ მიზნით საუკეთესო ევროპული გამოცდილების კვლევა და პრაქტიკაში მისი დანერგვა.

12.10. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ვიდეომეთვალყურეობასთან დაკავშირებული გამოწვევები

სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც ეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალებას, გამოიკვეთა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლების (ინსპექტორის) მხრიდან პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა მიმართ ვიდეომონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

როგორც აღინიშნა, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა მიმართ ვიდეომონიტორინგის განხორციელებას არეგულირებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე.“ აღნიშნულ ბრძანებაში აღწერილია, მათ შორის, ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, მოპოვებული ჩანაწერების დამუშავების წესი, ასევე, ზოგადი საფუძვლები, რომელი მოსალოდნელი შედეგების დადგომის შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოახდინოს ინსპექტორმა შესაბამისი პირების ინფორმირება, თუმცა, აღნიშნულ ბრძანებაში არ არის ნახსენები ინსპექტორების სამუშაოს პრაქტიკული ასპექტები, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს კონკრეტული პატიმრის მიმართ ვიდეომონიტორინგის დაწესება, პირველ რიგში, უნდა არსებობდეს სათანადო საფუძველი (უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება), რომელიც სათანადო წესით/ფორმით იქნება მიწოდებული ინსპექტორისთვის. ზემოაღნიშნულ ბრძანებაში, ასევე, სხვა სამართლებრივ აქტებში, არ არის განსაზღვრული, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა

და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოსთვის ინფორმაციის მიწოდება იმ პატიმრების თაობაზე, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელდეს ვიდეომონიტორინგი.

როგორც ერთ-ერთი გამოძიების ფარგლებში დადგინდა, დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ვიდეომონიტორინგს დაქვემდებარებულ პირთა სია არაოფიციალური დოკუმენტის სახით (არ აქვს ოფიციალური პირის ხელმოწერა ან/და ბეჭედი, არ იგზავნება იუსტიციის სამინისტორის დოკუმენტბრუნვის ოფიციალური პროგრამით) ფიზიკურად მიეწოდება ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს იმ ინსპექტორებს, რომლებიც ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას ამ კონკრეტულ დაწესებულებაში. მათ შორის, სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ პირთა მიმართ ვიდეომონიტორინგის განხორციელების საჭიროების თაობაზე სამმართველოს ინფორმაციას აწვდის კონკრეტული პენიტენციური დაწესებულების ფსიქოლოგი ან/და კოორდინატორი. გარდა ამისა, ინსპექტორების მხრიდან ხორციელდება იმ პატიმრების ვიდეომონიტორინგიც, რომლებიც მართალია არ არიან ჩართული სუიციდის პრევენციის პროგრამაში, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ისინი ითვლებიან საყურადღებო პატიმრებად.

იმის გათალისწინებით, რომ ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ინსპექტორების მხრიდან თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვანი შესრულების გამო შეიძლება ვერ იქნეს თავიდან აცილებული მოსალოდნელი ლეტალური შედეგი (რა მიზნითაც ხორციელდება ვიდეომონიტორინგი), მისი ქმედების სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით დღის წესრიგში დგება ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული ასპექტების დადგენა, დაევალა თუ არა ხსენებულ სამმართველოს ცალკეულ პატიმართა მიმართ ვიდეომონიტორინგის განხორციელება და რეალურად ხორციელდებოდა თუ არა კონკრეტული პატიმრის მიმართ ვიდეომონიტორინგი. აღნიშნულის დასადგენად კი არ არსებობს შესაბამისი წესით შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი ან/და წერილი, და გამოძიება დამოკიდებულია სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებების შედეგებზე, მათ შორის, არადოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინოს კონკრეტული პატიმრის მიმართ ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის ფაქტი.

ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოწვევაა, კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე, ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ინსპექტორებს შორის სამუშაოს განაწილება. კერძოდ, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ნებისმიერ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებობს ვიდეომონიტორინგს დაქვემდებარებული არა ერთი პატიმარი, რომელთა მიმართ ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს ერთდროულად, აღნიშნულ დაწესებულებაზე მიმაგრებული ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ორი ან მეტი ინსპექტორის მიერ. ერთ-ერთი საქმის გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ინსპექტორების მიერ ზეპირსიტყვიერად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდებოდა სამუშაოს განაწილება, თუ რომელი ოპერატორი რომელი პატიმრის მიმართ მოახდენდა ვიდეომონიტორინგს, თუმცა, მათ შორის არც პირადად და არც ხელმძღვანელის მიერ, არ დგება რაიმე დოკუმენტი სამუშაოს განაწილებასთან დაკავშირებით.

ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს საქმიანობა რეგულირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 30 სექტემბრის №632 ბრძანებით „სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-15 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამმართველოს უფროსი ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს მოსამსახურეებს შორის. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით არ არსებობს შემუშავებული ერთგვაროვანი მიდგომა, ოპერატორთა შორის მოვალეობების ოფიციალურად განაწილებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს გამოძიების გამოწვევას, რადგანაც ვერ ხერხდება იმის დადგენა, რომელი ოპერატორი ახორციელებდა ვიდეომონიტორინგს კონკრეტული პატიმრის მიმართ.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოებს, ოფიციალური დოკუმენტის სახით მიეწოდოს ინფორმაცია ვიდეომონიტორინგს დაქვემდებარებული პატიმრების შესახებ;

- მიზანშეწონილია, შემუშავდეს ოპერატორთა შორის მოვალეობათა განაწილების ოფიციალური დოკუმენტის ფორმა (გრაფიკი, გეგმა და ა.შ.), რომელიც, ერთი მხრივ, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყოველდღიურად თითოეული ოპერატორის მიერ მონიტორინგს დაქვემდებარებული პატიმრების/საკნების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებდეს შესაბამისი თანამშრომლის მხრიდან წერილობითი/ელექტრონული დადასტურების რეკვიზიტს.

12.11. პენიტენციურ დაწესებულებაში საკვების გაცემასთან დაკავშირებული გამოწვევები

პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ადამიანები ითვლებიან სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ პირებად. მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი, რომლის ვალდებულებას წარმოადგენს შექმნას პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრთა ყოფნისა და არსებობისთვის ღირსეული პირობები, მათ შორის, სამედიცინო მომსახურებთან, საყოფაცხოვრებო პირობებთან და კვებასთან დაკავშირებით.

სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა მიმართ მოხელის მხრიდან განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიება. საქმეთა გამოძიებამ და განზოგადებულმა საერთაშორისო პრაქტიკამ ცხადყო, რომ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს ბევრი სხვადასხვა სახის მოქმედებითა თუ უმოქმედობით. შესაბამისად, მრავალფეროვანია ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ხერხი და ფორმაც.

ამ კატეგორიის დანაშაულებზე, საჯარო მოხელის მიერ ჩადენილმა დამამაცირებელმა და არაადამიანურმა მოპყრობამ უნდა მიაღწიოს ამ დანაშაულისთვის დამახასიათებელი სისასტიკის მინიმალურ ზღვარს და უნდა გამოიწვიოს მსხვერპლის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. შესაბამისად, მნიშნელოვანია მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის ადგილი, ფორმა, ინტენსივობა, ხასიათი და ხანგრძლივობა.

ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას, მსხვერპლმა სამსახურის გამომძიებელს განუცხადა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას ის მოთავსებული იყო დეესკალაციის ოთახში, რა დროსაც მას მიზანმიმართულად არ აწვდიდნენ საკვებს, რაც გრძელდებოდა დღეების განმავლობაში. შესაბამისად, ის რამდენიმე დღის განმავლობაში იყო მშიერი, ისე, რომ არ ჰქონდა გამოცხადებული შიმშილობა. აღნიშნულმა გამოიწვია მისი ტანჯვა.

საქმის გამოძიებით დადგინდა, რომ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომ-ლებს შედგენილი ჰქონდათ ოქმი, რომელშიც მითითებული იყო, რომ მსხვერპლმა თავად განაცხადა უარი საკვების მიღებაზე (რაც ეწინააღმდეგება მსხვერპლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას), თუმცა ოქმი არ ითვალისწინებს მსხვერპლის ან სხვა ნეიტრალური პირის ხელმოწერის გრაფას.

სისხლის სამართლის სხვა საქმეში, მსხვერპლი ასევე მიუთითებდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან საკვების მიუწოდებლობის თაობაზე. ამ შემთხვევაში, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მსხვერპლმა სრულად მიიღო მისი კუთვნილი ულუფა და მისი მხრიდან საკვების მიღებაზე უარის თქმის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თუ სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირის მიმართ საკვების მიწოდება არ ხდება რამდენიმე დღის განმავლობაში (გარდა შიმშილობის გამოცხადებისა) და აღნიშნული იწვევს ამ პირის ტანჯვას, სხვა შესაბამისი პირობების არსებობისას, პენიტენციური დაწესებულების მოხელის ქმედება შესაძლოა

შეფასდეს როგორც არაადამიანური მოპყრობა. თუმცა, იმისთვის, რომ გამოძიებამ უტყუარად დაადგინოს აღნიშნული ფაქტის არსებობა, საჭიროა ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც იქნება შექმნილი არა მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით, არამედ მისი შინაარსის ნამდვილობა დადასტურებული იქნება შესაბამისი ან ნეიტრალური პირის ხელმოწერით.

პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ საკვების მიღების წესებს და პირობებს, არეგულირებს საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის ერთობლივი ბრძანება №388–№01-18/ნ „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ", რომლითაც განსაზღვრულია ზოგადი მოთხოვნები კვების ორგანიზებისადმი, კვების რეჟიმი და დაგეგმვა, თუმცა არ არის გაწერილი პატიმრისათვის საკვების მიწოდების პროცედურა. პატიმრებისათვის საკვების მიწოდების განრიგზე და სამჯერადი კვების ვალდებულებაზე ასევე მითითებულია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში, თუმცა არც იქ არის ნახსენები რაიმე, პატიმრისთვის საკვების მიწოდების პროცედურაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ შემთხვევებში პენიტენციური დაწესებულებაში განთავსებული სამეთვალყურეო კამერების ვიდეოჩანაწერი საქმეში არ მოიპოვება, ან არსებული ჩანაწერი არ შეიცავს ხმოვან (აუდიო) ინფორმაციას, საკმაოდ რთული შესაფასებელია, ნამდვილად შეეთავაზა თუ არა დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან პატიმარს საკვები და ამ უკანასკნელმა, ნამდვილად განაცხადა თუ არა უარი. აღნიშნული საკითხი გამოძიებისთვის წარმოადგენს გამოწვევას, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, არსებული სამართლებრივი აქტებით არ არის რეგულირებული პატიმრისთვის საკვების მიწოდების პროცედურა და ამ პროცესის დოკუმენტირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში შემუშავებული და გამოყენებული ოქმის ფორმა, არ ითვალისწინებს პატიმრის ხელმოწერას ან პატიმრის მიერ უარის თქმის ფიქსაციის სხვა ნეიტრალურ მეთოდს.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, შესაბამის სამართლებრივ აქტებში დარეგულირდეს პატიმრისათვის საკვების მიწოდების პროცედურა და შემუშავდეს დოკუმენტის ფორმა, რომელშიც შესაძლებელი იქნება პატიმრის მხრიდან ხელმოწერის ან ხელმოწერაზე უარის თქმის ფაქტის ნეიტრალური მეთოდით ფიქსაციის შესაძლებლობა/ვალდებულება.

13. დადებითი ტენდენციები

13.1. პენიტენციურ დაწესებულებებში სამხრე კამერების გამოყენების დანერგვა

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი და ეფექტური მიდგომების ჩამოსაყალიბებლად, იმისთვის, რათა პატიმრების მიერ შემოტანილ საჩივრებთან დაკავშირებით გამოძიებას ჰქონდეს ნეიტრალური მტკიცებულებები ვიდეო ჩანაწერების სახით, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში დაცული იყოს პატიმრების უფლებები, აუცილებელია, ვიდეო კამერის ჩანაწერების შენახვის ვადა გაიზარდოს.

ამასთან, როდესაც პენიტენციური დეპარტამენტის წარმომადგენლები აღჭურვილნი იქნებიან სამხრე კამერებით, მათ შორის, პატიმართა ესკორტირებისას, მონიტორინგის აღნიშნული უწყვეტი და ერთიანი ჯაჭვი ერთი მხრივ, შეამცირებს უსაფუძვლო პრეტენზია/საჩივრების რაოდენობას, მეორე მხრივ, გაზრდის როგორც საჩივრებთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიებისას ობიექტური და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, ასევე, პატიმართა/მსჯავრდებულთა უსაფრთხოებას.

სამსახურის 2023 წლის ანგარიშში გაიცა რეკომენდაცია, პენიტენციურ დაწესებულებაში ან/და ესკორტირებისას მომხდარი ინციდენტის ობიექტურად შესაფასებლად, უწყებამ ეტაპობრივად დანერგოს სამხრე კამერების გამოყენების მექანიზმი, რათა განხორციელდეს პატიმართა/თავისუფლებააღკვეთილ პირთან ნებისმიერი კომუნიკაციის აუდიო-ვიდეო ფიქსაცია. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ერთმნიშვნელოვნად აამაღლებს პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლების ქმედებების მიმართ ნდობას, ასევე, აღნიშნული სიახლე იქნება პატიმართა/თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტია.

აღსანიშნავია, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა რეკომენდაციის გაცემის შემდგომ შეიძინა სამხრე ვიდეოკამერები (ხელშეკრულება N16 შესყიდვის ელ.პროცედურა - GEO0240000201, 02/05/2024) და ამ მომენტისათვის დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლები სამხრე კამერებს იყენებენ დაწესებულების გარე პერიმეტრის შემოწმების დროს, ამასთან, შესაბამისი ტექნიკის არსებობის პირობებში სამხრე კამერები ამ მომენტისთვის უკვე გამოიყენება პატიმართა ესკორტირების დროს.

13.2. გამოსახლებისას არსებული გამოწვევების აღმოფხვრა (აღსრულების პოლიცია)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით, სამსახურში, წინა წლებში 4 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება.

გამოძიების ფარგლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროდან მიღებულია ინფორმაცია, რომ აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის (გამოსახლების) - იძულებითი აღსრულების პროცესში არ ხდება ვიდეო გადაღება, რადგან აღსრულების პოლიციის თანამშრომლები სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი არ არიან. „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღსრულების პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, პირადი, აღსრულების ეროვნული ბიუროს პერსონალისა და სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუ ძალის გამოყენების გარეშე ვერ ასრულებს მოვალეობას. აღსრულების პოლიციელს, ასევე, უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფდა, აღსრულების პოლიციის თანამშრომლებს, გამოსახლების პროცესის მიმდინარეობისას, ხშირად უწევთ ძალის გამოყენება, გამოსახლების უმეტეს

პროცედურას თან სდევს იმ პირთა განსაკუთრებული აგრესია და აღსრულების თანამშრომლების მიმართ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევაც კი, რომლებიც ექვემდებარებიან გამოსახლებას. ამდენად, აღსრულების პოლიციელებს ხშირად უწევთ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება.

სამსახურის 2023 წლის ანგარიშში, გაიცა რეკომენდაცია, მოქალაქესა და აღსრულების პოლიციის თანამშრომლებს შორის მომხდარი ინციდენტის ობიექტურად შესაფასებლად, აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის (გამოსახლების) პროცესის მიმდინარეობისას მომხდარიყო პროცესის აუდიო-ვიდეო ფიქსაცია, ღონისძიებაში ჩართული თანამშრომლების სამხრე კამერების საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტის წევრების[14] მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია „აღსრულების კოდექსი" და მისი თანმდევი პროექტები, რომელიც მიღებულია პირველი მოსმენით.[15]

კოდექსის პროექტი ითვალისწინებს აღსრულების პოლიციელების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელზე ავტომატური ვიდეოტექნიკის დამაგრებისა და სხვის მფლობელობაში არსებული დამონტაჟებული ვიდეოტექნიკის მფლობელის თანხმობით გამოყენების შესაძლებლობას. პროექტის 68-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად:

„8. სამსახუჰებჰივი უფღებამოსიღების განხოჰციეღებისას, სააღსჰუღებო მოქმედების სათანადოდ დაფიქსიჰების მიზნით, აღსჰუღების პოღიციეღს უფღება აქვს საქაჰთვეღოს კანონმდებღობით დადგენიღი წესით გამოიყენოს, მათ შოჰის, სამსახუჰებჰივი ფოჰმის ტანსაცმეღზე დაიმაგჰოს ავტომატუჰი ვიდეოტექნიკა, აგჰეთვე გამოიყენოს სხვის მფღობეღობაში აჰსებუღი დამონტაჟებუღი ვიდეოტექნიკა მფღობეღის თანხმობით.

9. აღსჰუღების პოღიციეღი ვაღდებუღია გააკეთოს შესაბამისი გაფჰთხიღება სამსახუჰებჰივი ფოჰმის ტანსაცმეღზე დამაგჰებუღი ავტომატუჰი ვიდეოტექნიკის მეშვეობით ვიდეო - აუდიო ჩაწეჰის დაწყების თაობაზე."

სამსახური კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ აღსრულების პოლიციელთათვის სამხრე ვიდეო კამერების გამოყენების უფლებამოსილების მინიჭება ხელს შეუწყობს აღსრულების პოლიციელის მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული აღსასრულებელი აქტების აღსრულების პროცესში სააღსრულებო მოქმედებების მეტად უსაფრთხოდ პირობებში ჩატარებას, აგრეთვე აღსრულების პოლიციელის მიერ უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო შემთხვევების თავიდან აცილებას, სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებისას საზოგადოებრივი წესრიგისა და მხარეთა ინტერესების ეფექტიანად დაცვასა და მესამე პირთა მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთას.

14 მიხეილ სარჯველაძე, ისკო დასენი, ბექა ლილუაშვილი, ალუდა ღუდუშაური, ანა ბუჩუკური, დავით სონღულაშვილი, მიხეილ დაუშვილი, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ელისო ბოლქვაძე, ნინო წილოსანი და თეა წულუკიანი;

15 https://parliament.ge/media/news/parlamentma-aghsrulebis-kodeksis-proekti-pirveli-mosmenit-miigho.

სამსახურის 2025 წლის გეგმები

14.1. სპეციალიზებული სამმართველოს შექმნა

გაზრდილი საგამოძიებო მანდატის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების მიზნით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეიქმნება სპეციალურ საქმეთა გამოძიების დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დარღვევის საქმეთა გამოძიების სპეციალიზებული სამმართველო, რომელიც გამოიძიებს მხოლოდ იმ სისხლის სამართლის საქმეებს, რომელშიც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილია დარღვევა.

აღნიშნული სამმართველოს შექმნა, ერთი მხრივ, მისცემს შესაძლებლობას გამომძიებლებს კონცენტრიდნენ ერთგვაროვანი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაზე, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სამართალწარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, განტვირთავს სამსახურის სხვა საგამოძიებო დანაყოფებს, რომლებიც იძიებენ განსხვავებული ტიპის სისხლის სამართლის საქმეებს.

14.2. ხელახალი გამოძიების სახელმძღვანელოს დანერგვა

სამსახურმა, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების გამოძიებასთან მიმართებით, სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიმუშავა, რომლის მიზანიცაა შექმნას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებისთვის მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური ინსტრუქცია ხელახალი გამოძიების წარმოების კუთხით. აღნიშნული დოკუმენტი შესაძლებლობას მისცემს გამომძიებლებს ამ ტიპის საქმეების გამოძიების მიმდინარეობისას იმოქმედონ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

14.3. შშმ მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო დოკუმენტის დანერგვა

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის ფარგლებში, აგრძელებს სახელმძღვანელო დოკუმენტების დანერგვას, რომლის მიზანიცაა კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს საგამოძიებო პროცესი. შშმ მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო დოკუმენტი დაავალდებულებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს, შშმ პირებთან მიმართებით მოქმედებები განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

14.4. სათავო ოფისის მშენებლობის დასრულება, ინფრასტრუქტურის მოწყობისა და თანამშრომელთა განთავსების პროცესის დაწყება

სათავო ოფისის მშენებლობის დასრულებისთანავე დაიწყება ქ. თბილისში, იჯარით აღებული ადმინისტრაციული შენობებიდან ინფრასტრუქტურის გადატანისა და თანამშრომელთა განთავსების პროცესი. აღნიშნული შეამცირებს საბიუჯეტო (იჯარა) ხარჯებს და შესაძლებლობას მისცემს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სათავო ოფისის თანამშრომლებს, ნაცვლად იჯარით აღებული ორი ადმინისტრაციული შენობისა განთავსდნენ ერთ შენობაში.

14.5. რუსთავის ოფისის მშენებლობის დასრულება და ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს გახსნა

სამსახურის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის ზრდის ფარგლებში, ქ. რუსთავში დასრულდება ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის

მოწყობა, რის შემდეგაც ამოქმედდება სპეციალურ საქმეთა გამოძიების დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო და განთავსდებიან თანამშრომლები.

14.6. საკომუნიკაციო ქსელის განახლება, სერვერული ინფრასტრუქტურის გაძლიერება

იგეგმება შიდა საკომუნიკაციო ქსელის განახლება და სერვერული ინფრასტრუქტურის გაძლიერება. სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შეიქმნება სერვერული ინფრასტრუქტურის დაცვის დამატებითი გარანტიები და საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს მიეცემათ კიდევ უფრო სწრაფი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურული ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა.

14.7. ცნობიერების ამაღლება და მიზნობრივი შეხვედრები

სამსახურის გაზრდილი საგამოძიებო უფლებამოსილების, შეტყობინებებისა და საჩივრების მიღების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება კვლავაც რჩება უწყების წინაშე მდგარ ერთ-ერთ გამოწვევად. შესაბამისად, განვლილი პერიოდის მსგავსად, სამსახური კვლავ გეგმავს გააგრძელოს სხვადასხვა სამიზნე სეგმენტზე მიმართული, ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული, პირისპირ შეხვედრების, სემინარების, საჯარო ლექციების, კონფერენციებისა და სხვა მიზნობრივი აქტივობების განხორციელება. არსებული პრაქტიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მიმდინარე წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და სკოლებთან მჭიდრო კოორდინაციით, სამსახურის უფლებამოსილებაში შემავალი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებაზე.

მაღალი სტანდარტი | **გამჭვირვალე გამოძიება** | **დაცული უფლებები**

WWW.SIS.GOV.GE